„ა(ა)იპ“ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

თეონა დიასამიძე

სწავლისადმი მიზანსწრაფული დამოკიდებულების ჩამოყალიბება მოსწავლეებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი ხათუნა ხალვაში,
განათლების აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2019

ანოტაცია

განათლების მაგისტრანტ თეონა დიასამიძის ნაშრომში „სწავლისადმი მიზანსწრაფული დამოკიდებულების ჩამოყალიბება მოსწავლეებში“ აღნიშნულია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი, შედეგზე ორიენტირებული სწავლება, გულისხმობს სხვადასხვა მამოტივირებელ მეთოდებს, რაც აქტიურს და ნაყოფიერს ხდის სასწავლო პროცესს. სწავლისადმი მიზანსწრაფული დამოკიდებულების კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლების დანერგვას სკოლაში დღემდე გარკვეული სირთულეები ახლავს. როგორ გამოიყენოს მოსწავლემ ის ცოდნა, რომელსაც ვაძლევთ? როგორ ავუმაღლოთ მოტივაცია და გა-ვუღვივოთ ინტერესი მოსწავლეებს სწავლის პროცესისადმი იმისათვის, რომ უკეთ და-ინახონ და განსაზღვრონ საკუთარი საჭიროება საგაკვეთილო პროცესში და, ზოგა-დად, ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ნაშრომის მიზანია მასწავლებლის დახმარება საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგოს მიდგომები სწავლისადმი მიზანსწრაფვის განსავითარებლად სწავლის მოტივაციის ასამაღლებლად. ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ამ მხრივ არსებული პრობლემები და დაასაბუთოს ის, რომ მოტივაციის ამაღლება სწავლისადმი მიზანსწრაფული დამოკიდებულების განსავითარებლად დღევანდელი განათლების სისტემის განუყრელი, აუცილებელი ნაწილია.

კვლევის ამოცანებს შეადგენს: 1. ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა წყაროს მეშვეობით. 2. ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი. 3. სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის სწავლისადმი მიზანსწრაფული დამოკიდებულების კომპეტენციის განვითარების მნიშვნელობის დასაბუთება. 4 რეკომენდაციებისა და სტრატეგიების შემუშავება არსებული რეალობის გამოსწორებისა და სრულყოფის მიზნით.

კვლების მეცნიერული სიახლეა მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებისათვის მოტივაციის ამაღლების მნიშვნელობის დასაბუთება. ახალი მეთოდებისა და

მიდგომების შეთავაზება სწავლისადმი მიზანსწრაფული დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად.

წყაროებისა და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასკვნები. ნაშრომი განკუთვნილია მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის.

სტრუქტურა მოიცავს შესავალს, ორ თავს, ათ პარაგრაფს, დასკვნებსა და ლიტერატურის დასახელებას.

Anotation

Masters of Education Teona Diasamidze's essay "Developing Attitudes Toward Learning in Students" notes that an integral part of the national curriculum, result-oriented learning, involves various motivational methods that make the learning process active and productive. Implementation of teaching focused on the development of competences for attitudinal attitudes to learning is still having some difficulties at school. How can the student convey the knowledge we give? How to Motivate and Engage Students in the Learning Process to Better Identify and Define Whereas it is important to have a healthy process and, in a nutshell, a daily life.

The purpose of this work is to help the teacher implement approaches in their pedagogical practice in order to increase their motivation for learning. The purpose of this paper is to illustrate the problems in this area and to prove that motivation is an essential, integral part of today's education system for the development of an attitudinal attitude towards learning.

The objectives of the study are: 1. Obtaining information through various sources. 2. Information processing and analysis. 3. Justify the importance of developing the competence of learning-oriented attitudes towards learning to enhance the quality of teaching. 4 Develop recommendations and strategies to improve and improve the current reality.

The scientific novelty of research is to substantiate the importance of motivating students to deepen their knowledge. Offer new methods and approaches to formulate attitudes toward learning.

Based on the analysis of sources and research results, the conclusions are drawn. The work is intended for teachers and students.

The structure includes an introduction, two chapters, ten paragraphs, conclusions, and the title of the literature.

სარჩევი

შესავალი …..... 5-7.

თავი I. სწავლის მოტივაციის ფაქტორები

§1.მოზარდების სწავლის ხარისხის ამაღლების ხელშემწყობი ფაქტორები..... 8-13.

§2.მოტივაციის თეორიები და პედაგოგიური კვლევები მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გასაუმჯობესებლად..... 14-22.

§3.სწავლის მოტივაცია - სასურველი მიზნის მიღწევისკენ მიმართული პროცესი..... 22-28.

თავი2. თვითმართვადი სწავლის უნარების განვითარება

§1. სწავლის სწავლა..... 29-33.

§2. სწავლა და სწავლის სხვადასხვა სტილი..... 33-34.

§3. თვითრეგულირებადი მოსწავლეები - მოსწავლის პასუხისმგებლობის განვითარება..... 35-38.

§4. როგორ შევმატოთ საშინაო დავალებას ინტერესი..... 38-42.

§5. წარმატებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა..... 42-47.

§6. სოციალური ინტერაქცია.....47-50.

§7. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები (კვლევა დაწყებითი კლასების მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის დაკარგვის მიზეზი და მისი გამოსწორების გზები)..... 50-60.

დასკვნები და რეკომენდაციები.....60-61

გამოყენებული ლიტერატურა..... 62-63.

შესავალი

თემის აქტუალობა. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დანერგვას სკოლაში დღემდე გარკვეული სირთულეები ახლავს. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა მოსწავლეებში მოტივაციის ასამაღლებლად სტრატეგიების დაგეგმვა. ხარვეზებს, რომლებიც მოსწავლეებში სწავლისადმი მიზანსწრაფვის განვითარებას მოსდევს, სხვადასხვა მიზეზი აქვს. კერძოდ, მასწავლებლები გაკვეთილზე ძირითადად მხოლოდ საგნობრივ კომპეტენციებზე მუშაობენ, დანარჩენი გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ზრუნვა კი სხვა საგნებისათვის აქვთ მინდობილი. სწორედ ამიტომ მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სწავლების დანერგვა დასახვეწი და განსაკუთრებულად აქტუალურია.

ეს ნაშრომი ეხება გამოწვევას, რომელიც განათლების სისტემის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახლავთ - „სწავლა მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი გამოყენების უნარი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი. ცოდნა სამყაროსთან ურთიერთობის პროცესში ყალიბდება“(დიუი). როგორ გამოიყენოს მოსწავლემ ის ცოდნა, რომელსაც ვაძლევთ? როგორ გავუღვივოთ ინტერესი მოსწავლეებს

იმისათვის, რომ უკეთ დაინახონ და განსაზღვრონ საკუთარი საჭიროება საგაკვეთილო პროცესში და, ზოგადად, ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორ შეძლონ ინფორმაციის ნაკადში ორიენტირება, მიღებული მასალის გაფილტვრა, კრიტიკული აზროვნება, მასალის შექმნა და გავრცელება. მოტივაციის ამაღლებით, სწავლისადმი მიზანსწრაფული დამოკიდებულების ჩამოყალიბებით ხელი შეეწყობა იმ უნარების განვითარებას, რომელიც მოსწავლეს არა მხოლოდ სკოლაში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში სჭირდება.

ნაშრომის მიზანია მასწავლებლის დახმარება საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგოს მიდგომები სწავლისადმი მიზანსწრაფვის განსავითარებლად სწავლის მოტივაციის ასამაღლებლად. ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ამ მხრივ არსებული პრობლემები და დაასაბუთოს ის, რომ მოტივაციის ამაღლება სწავლისადმი მიზანსწრაფული დამოკიდებულების განსავითარებლად დღევანდელი განათლების სისტემის განუყრელი, აუცილებელი ნაწილია.

კვლევის ამოცანებია: 1. ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა წყაროს მეშვეობით. 2. ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი. 3. სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის სწავლისადმი მიზანსწრაფული დამოკიდებულების კომპეტენციის განვითარების მნიშვნელობის დასაბუთება. 4 რეკომენდაციებისა და სტრატეგიების შემუშავება არსებული რეალობის გამოსწორებისა და სრულყოფის მიზნით.

კვლევის მეთოდები. წყაროების ანალიზი, შედარებითი ანალიზი, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, გამოცდილების შესწავლა და გაზიარება, ინტერნეტრესურსების დახარისხება-გამოყენება.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ინტერნეტი, კავკასიის ბიზნესსკოლა.

კვლების მეცნიერული სიახლეა მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებისათვის მოტივაციის ამაღლების მნიშვნელობის დასაბუთება. ახალი მეთოდებისა და მიდგომების შეთავაზება სწავლისადმი მიზანსწრაფული დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. მასალები წარმოდგენილია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სახით, რაც ამაღლებს მისი გამოყენების შესაძლებლობას.

კვლევის შედეგების პერსპექტიული გამოყენების სფეროს წარმოადგენს: მასწავლებლები, სტუდენტები. განათლების მაგისტრანტებს შეეძლებათ გამოიყენონ ნაშრომი სწავლა/სწავლების მეთოდიკაში, როგორც დამხმარე მასალა. სკოლის მასწავლებლებს სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავის, 10 პარაგრაფის, დასკვნებისა და რეკომენდაციების, ლიტერატურის დასახელებისაგან.

პირველ თავში - „სწავლის მოტივაციის ფაქტორები“ განხილულია მოზარდების სწავლის ხარისხის ამაღლების ხელშემწყობი ფაქტორები, მოტივაციის თეორიები და პედაგოგიური კვლევები მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აღნიშნულია, რომ სწავლისადმი მიზანსწრაფული დამოკიდებულების განმაპირობებელი მოტივაციაა.

მეორე თავში - „თვითმართვადი სწავლის უნარების განვითარება“ საუბარია იმაზე, თუ როგორ შეიძლება სწავლის სწავლის კომპეტენციების განვითარება, სწავლისადმი მიზანსწრაფული დამოკიდებულების ჩამოყალიბება მოზარდებში. მოყვანილი და დასაბუთებულია თითოეული მიმართულებით სტრატეგიები და მიდგომები, რომლებიც ხელს შეუწყობს არსებული ვითარების მოგვარებას.

ბოლოს კი მოცემულია დასკვნები, არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე და მოიცავს ყველა იმ საკითხს, რომელზეც საუბარია ნაშრომში, მნიშვნელოვანია სწავლისადმი მიზანსწრაფვის განვითარებისთვის.

თავი I. მოტივაცია თეორიასა და პრაქტიკაში.

§1. მოზარდების სწავლის ხარისხის ამაღლების ხელშემწყობი ფაქტორები

„დიდი ადამიანი გაგრძნობინებს, რომ შენც შეიძლება გახდე დიდი" - ბრძანებდა მარკ ტვენი.

სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოტივაცია და იგი ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოკვლეული ფაქტორია. კლასში მოსწავლეები სოციალური და კულტურული კონტექსტით, გამოცდილებებით, რწმენით, საჭიროებებით, უნარებით განსხვავდებიან. ეს კი განსაზღვრავს იმ ფაქტორების მრავალსახეობას, რაც მათი მოტივაციის ამაღლებაზე მოქმედებს. მრავალი კვლევით დადასტურებულია, რომ მხოლოდ მოტივაციის პირობებშია შესაძლებელი მოსწავლის მიერ მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევა.

შესაბამისად, კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს ის, რაც მოსწავლეს სწავლის მოტივაციას გაუჩენს. უამრავი დისციპლინათშორისი თეორია ცდილობს, ახსნას ის ფაქტორები, რომლებიც მოტივაციის ზრდას იწვევს. აქ რამდენიმე მათგანს შევეხებით:

ატრიბუციის თეორია ყურადღებას ამახვილებს იმ წარმოდგენებზე, რომლებიც ადამიანებს მაშინ უჩნდებათ, როცა ამა თუ იმ მოვლენას, შედეგს რაიმე კონკრეტულ ფენომენს უკავშირებენ. მაგალითად, გამოცდის ჩაბარება დაკავშირებულია გამართლებასთან, მოსწავლის დაბალი აკადემიური მიღწევები – სიზარმაცესთან... როდესაც ერთი მოსწავლე მეორე მოსწავლის მაღალ აკადემიურ მოსწრებას მის დიდ მცდელობას უკავშირებს, შესაძლოა, ამან მის მოტივაციაზე დადებითად იმოქმედოს. ყველა შემთხვევაში, ეს მოსწავლეებში აღძრავს გარკვეულ ემოციას, რამაც შესაძლოა იმოქმედოს მათ მოტივაციაზე. აკადემიურ კონტექსტში მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სწორად წარმართოს მოსწავლის ემოცია, მისი მიღწევა დაუკავშიროს არა იღბალს, არამედ მცდელობას, დაბალი აკადემიური მიღწევა კი კონკრეტული უნარების უქონლობით არ ახსნას.

მოლოდინების თეორიის მიხედვით, წარმატების მიღწევის მოტივაციას, დიდწილად, საზოგადოების მხრიდან წარმატების მოლოდინი განსაზღვრავს. სასწავლო პროცესში ის მოსწავლეები, რომელთა მიმართაც არსებობს მაღალი აკადემიური მიღწევების მოლოდინი, ძირითადად, აღწევენ კიდეც წარმატებას, იმათთან შედარებით, ვის მიმართაც ასეთი მოლოდინი არ არსებობს.

სოციალური დასწავლისა და მიზნის მიღწევის თეორიაში აქცენტი კეთდება ადამიანის ბუნებაზე, ისწავლოს დაკვირვებით. მთავარ კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს ის, რომ ადამიანები და გარემო ერთმანეთზე ზეგავლენას ახდენენ. მოსწავლე სწავლობს მასწავლებელზე და თანატოლებზე დაკვირვებით. მოსწავლე მოტივირებულია, თუ არტიკულირებულია კონკრეტული მიზნები, რომლებსაც მასწავლებელი მასთან შეთანხმების საფუძველზე დასახავს. ამის მიღწევა მოსწავლისა და მასწავლებლის ჯანსაღი ურთიერთობის საფუძველზეა შესაძლებელი.

გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მიერ მიზნების დასახვა არ ხდება მასწავლებელთან, თანატოლებთან თუ მშობლებთან ინტერაქციის გარეშე.

თვითეფექტურობის თეორიისთვის ცენტრალური თემაა ინდივიდის რწმენა საკუთარი ეფექტურობისა, შესაბამისად, მისი მოტივაცია დამოკიდებულია წარმატების მიღწევის შესაძლებლობის აღქმაზე. მოსწავლეებში საკუთარი შესაძლებლობების რწმენის გაჩენა შესაძლებელია ისეთი აქტივობების განხორციელებით, რომლებიც მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემების გადაჭრას და სხვა.

ამ თეორიებს აერთიანებს მასწავლებლის როლის მნიშვნელობა მოსწავლის მოტივაციის ამაღლების საკითხში. ატრიბუციის თეორია ხაზს უსვამს მასწავლებლის მხრიდან მუდმივი უკუკავშირის მიცემას, მიღწევების კონტროლს და მათ სწორ ატრიბუციას. მოლოდინების თეორია მოტივაციის ამაღლების ფაქტორად განსაზღვრავს მასწავლებლის და თანატოლების მოლოდინის მნიშვნელობას მოსწავლის აკადემიური მიღწევებისათვის. მიზნის მიღწევის თეორია ყურადღებას ამახვილებს მასწავლებლის მიერ ნათელი და არტიკულირებული მიზნების დასახვაზე, რომლის მიღწევის მოტივაციაც უჩნდება მოსწავლეს. სოციალური დასწავლის თეორიაში მოსწავლე სწავლობს მასწავლებელზე დაკვირვებით, მის მოტივაციაზე გავლენას ახდენს მასწავლებელი, როგორც მოდელი, ასევე თანატოლი და სასწავლო გარემო. მოსწავლის მოტივაცია მაღალია თუ მას საკუთარი თავის ეფექტურობის რწმენა აქვს, რომელსაც უვითარებს მასწავლებელი (ოჯახთან ერთად).

ამ და სხვა თეორიებზე დაყრდნობით, უნდა ვაღიაროთ მასწავლებლის და სასწავლო გარემოს როლი აკადემიური წარმატების მისაღწევად მოსწავლის მოტივაციის ჩამოყალიბებაში. მრავალი კვლევა უსვამს ხაზს მასწავლებლის და მოსწავლის დამოკიდებულების მნიშვნელობას საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ მასწავლებლის მხარდაჭერის განცდა, უფრო მიდრეკილნი არიან მაღალი აკადემიური მოსწრებისა და წარმატებისკენ; მოსწავლეები, რომლებსაც მოსწონთ მასწავლებელი, უფრო კარგად სწავლობენ კონკრეტულ საგანს; მოსწავლეები, რომლებიც გრძნობენ მასწავლებლის მხრიდან

პატივისცემას, უფრო ჩართულნი არიან საგაკვეთილო პროცესის მსვლელობაში და სხვ.

ზემოთ ნახსენები თეორიების მტკიცებულებები რამდენიმე მსხვილ ფაქტორად შეიძლება დაჯგუფდეს, სადაც თავად მოსწავლეს, მასწავლებელს, შინაარსსა და გარემოს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ სწავლისადმი მიზანსწრაფული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. შევეხოთ მოკლედ თითოეულ მათგანს და განვსაზღვროთ იმ სტრატეგიების ნაწილი, რომლებმაც შესაძლოა მოტივაცია აუმაღლოს მოსწავლეებს.

1.**მოსწავლის ფაქტორი.** მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მოსწავლეები სკოლაში მოდიან სხვადასხვა სოციალური თუ კულტურული კონტექსტიდან, მათ აქვთ გარკვეული გამოცდილებები, სურვილები, მოთხოვნები და მოლოდინები.

დასავლური სკოლა განასხვავებს გარეგან და შინაგან მოტივაციებს. მნიშვნელოვანია, გავიაზროთ ორივე ტიპის მოტივაციის როლი და ეფექტი.

გარეგანი მოტივაციის შემთხვევაში მოსწავლე მიმართულია წახალისების მიღებისკენ, შინაგანი მოტივაციის დროს კი წახალისების, აღიარების ფაქტორი მინიმუმამდეა დაყვანილი და ფოკუსი ცნობისმოყვარეობაზე, გამოწვევებზე, სოციალურ ინტერაქციაზეა. მაშინ, როცა სასწავლო პროცესში მოტივაციის ნაკლებობა შეიმჩნევა, აუცილებელია, განისაზღვროს ის სტრატეგიები, რომლებიც მოსწავლეს შინაგან და გარეგან მოტივაციას აღუძრავს.

მოსწავლეთა გარეგან თუ შინაგან მოტივაციაზე გავლენას ახდენს ის სოციალური გარემო, საიდანაც ისინი მოდიან, ასევე – გარემო, სადაც უწევთ ყოფნა; მაგალითად, ის თუ რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის სასწავლო მასალა, როგორ სკოლაში დადიან, ოჯახის შემოსავალი, კონკრეტულ სფეროში დასაქმების სურვილი, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თანატოლებთან ურთიერთობის ფორმა და ხარისხი. მოსწავლის მოტივაციაზე ასევე გავლენას ახდენს ის, თუ რამდენად ჩართულია საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვასა და მსვლელობაში. გრძელვადიანი

საგაკვეთილო პროცესის გაცნობამ, მიზნების ნათლად დასახვამ შესაძლოა მოსწავლეებს მნიშვნელოვნად აუმაღლოს მოტივაცია დასახული მიზნის მისაღწევად.

2. **მასწავლებლის ფაქტორი.** მოსწავლეთა მამოტივირებელი შესაძლებელია იყოს მასწავლებლის მიერ კონკრეტული საგნის მაღალ დონეზე ფლობა. მოსწავლეს აქვს მოლოდინი, რომ საგაკვეთილო პროცესის დროს ის მოისმენს რაღაც ახალს, მიიღებს პასუხს კითხვებზე. ის უნდა ხედავდეს მასწავლებლის მოტივაციას, გადასცეს მას ახალი ცოდნა.

მოსწავლეს მოტივაციას აღუძრავს ისეთ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა, სადაც მასწავლებელი იცნობს და პატივს სცემს მას, აფასებს მის ინტერესებს. მოსწავლე სწავლობს უკეთესად, როცა მასწავლებელი მშვიდად (და არა სტრესულად) წარმართავს სასწავლო პროცესს, იზიარებს მოსწავლეთა შეხედულებებს, არ განასხვავებს დაბალი და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს, არ მიუთითებს შეცდომებზე. საგაკვეთილო პროცესის წარმართვის დროს სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს სხვადასხვა ტექნიკა: თამაშები, სიტუაციური ანალიზი, სადაც ჩართული იქნება თანაბრად ყველა მოსწავლე.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს ხშირად სჭირდება მოსწავლის შეფასება, მნიშვნელოვანია, ამ პროცესმა არ გამოიწვიოს სტრესი და მოტივაციის კლება. სასურველია, შეფასება არ ეფუძნებოდეს მხოლოდ ტესტირებას და ის ატარებდეს განმავითარებელ ხასიათს. თუ მოსწავლეებს ნათლად მიეწოდებათ შეფასების მიზანი, ეცოდინებათ ის კრიტერიუმები, რომლების მიხედვითაც ფასდებიან, ისინი ნაკლებად სტრესულად აღიქვამენ ამ პროცესს. მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რომ ტესტირების დღე არ არის გადამწყვეტი მის ცხოვრებაში და, შესაბამისად, მხოლოდ ამ დღეზე არ უნდა იყოს კონცენტრირებული.

მასწავლებელი მუდამ ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ყურადღების მიპყრობაზე, რაც შესაძლებელია მისი ინტერესების გათვალისწინებით, ცნობისმოყვარეობის გაღვივებით, მისი ძლიერი მხარეების გამოყენებით საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლის მოტივირებისთვის აუცილებელია ინოვაციებით

სავსე მასწავლებელი. მოსწავლე საგაკვეთილო თემის მნიშვნელობას იზიარებს, თუ მასწავლებელი ენთუზიაზმით უდგება მის განხილვას.

მასწავლებელი-დიპლომატი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც მასწავლებელი-საგნის მცოდნე. მოსწავლის მოტივირებისთვის აუცილებელია, მასწავლებელმა ააწყოს და დაბალანსოს ურთიერთობები მოსწავლეებთან. მოსწავლე, რომელიც გრძნობს მხარდაჭერას, ნდობას და დაფასებას, თავდაჯერებულია. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში მაღალი მოტივაციის ალბათობა უფრო მეტია. ხშირი უკუკავშირი, მოსწავლეებისადმი თანაბარი მიდგომა, აქცენტი მიღწევებზე, განმავითარებელი შეფასებები – ეს ის არასრული ჩამონათვალია, რასაც შეიძლება მასწავლებელმა მიმართოს.

3. **შინაარსის ფაქტორი.** ეჭვგარეშეა, რომ საგაკვეთილო პროცესის მიმართ მოსწავლის მოტივაციას აღძრავს ის შინაარსი, რომლის მიწოდებასაც ვცდილობთ. თემა, რომელიც მას მიეწოდება, უნდა იყოს გასაგებად გადმოცემული, დროული და მისი ინტერესების შესაბამისი. მასწავლებლის უპირველესი ამოცანაა, თანხვედრაში მოიყვანოს სასწავლო მასალის შინაარსისა და მოსწავლის ინტერესები. მოტივაციისთვის მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ჰქონდეს არჩევანის შესაძლებლობა, რომელ მოსწავლესთან ერთად შეასრულოს ჯგუფური სამუშაო, რომელი წიგნი წაიკითხოს, როგორი ფორმით წარმოადგინოს დავალება და სხვ. მოსწავლის მოტივაციაზე შესაძლოა დადებითად იმოქმედოს შინაარსთან მიმართებაში არჩევანის არსებობამ.

შემოქმედებითობის და კრიტიკული აზროვნების განვითარებისკენ მიმართული სტრატეგიები იწვევს მოსწავლის ცნობისმოყვარეობის გაღვივებას, კითხვების დასმას, კვლევას, ცხოვრებისეულ მოვლენებთან თეორიის დაკავშირებას. პრობლემები, რომლების გადაჭრაც მოსწავლეს მოეთხოვება, შესაძლოა ზოგადსაკაცობრიო საკითხებს უკავშირდებოდეს. ამ შემთხვევაში ის მეტი პასუხისმგებლობით მიუდგება კვლევას. მოსწავლეს ყოველთვის სურს, იპოვოს, ამოხსნას, შესაბამისად, მოტივაცია, მიაღწიოს დასახულ მიზანს, მაღალია.

4.**სასწავლო გარემოს ფაქტორი.** აქ აქცენტს საგაკვეთილო პროცესის გარემოზე გავაკეთებთ, რაშიც მასწავლებელს უდიდესი წვლილი მიუძღვის.

მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად საჭიროა წახალისება, მაგალითად, სკოლის ცხოვრებაში მისი ჩართვის გზით. მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის ის გარკვეულ პოზიციას დაიკავებს კლასისა თუ სკოლის მართვაში. მასწავლებელმა უნდა შექმნას თანამშრომლობითი, არასტრესული გარემო, სადაც მოსწავლეები აკეთებენ ერთობლივ პროექტებს, ერთობლივად ასრულებენ დავალებებს. საგაკვეთილო პროცესში შესაძლებელია მრავლად იყოს გამოყენებული მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდან, ვინაიდან ითვლება, რომ ისტორიების ჩართვას საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ყურადღების მოზიდვა და შესაბამისად, მოტივაციის ამაღლება შეუძლია. მოსწავლე მოტივირებულია, თუ მან ზუსტად იცის, რა მოლოდინი აქვს მასწავლებელს, რა არის მისი მიზანი და შეფასების ობიექტური კრიტერიუმი. შესაბამისად, მოსწავლე მოტივირებულია, მიაღწიოს მიზანს და მიიღოს ამისათვის შექება.

და ბოლოს, მხარდაჭერისკენ მიმართული საგაკვეთილო გარემო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც მოსწავლის მოტივაციის ზრდას უზრუნველყოფს. მოსწავლე მუდმივად იღებს უკუკავშირს მასწავლებლისგან და მისთვის ტესტირების ან გამოცდის დღე არ არის წარმატების/წარუმატებლობის განმსაზღვრელი.

§2. მოტივაციის თეორიები და პედაგოგიური კვლევები მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

უამრავი მასწავლებელი აწყდება მოსწავლეების ჩართულობასთან დაკავშირებულ პრობლემას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვები არ ადევნებენ თვალ-ყურს გაკვეთილის მსვლელობას, მათი გონება სხვაგან ჰქრის. ესეთი

მოსწავლეები იწყებენ სხვებთან საუბარს, რაც, ცხადია, მასწავლებლისთვის ხელშემშლელი ფაქტორია.

ამ პრობლემის მოგვარების გზები, ვფიქრობთ, პედაგოგიური თეორიების პრაქტიკულ გამოყენებაში უნდა ვეძიოთ. განვიხილოთ ისინი.

სწავლების სოკრატისეული მეთოდი გულისხმობს მოსწავლეების აქტიურად ჩართვას კითხვების პასუხის გზით საკუთარი ცოდნის აგებაში. მასწავლებელი სვამს მხოლოდ პრობლემურ (და არა ინფორმაციულ) კითხვებს (მაგ., რას ფიქრობთ ამაზე? რა განმარტებები გვჭირდება ამისთვის?), არ აწოდებს არანაირ ინფორმაციას მოსწავლეებს. და სთხოვს მათ აზროვნებას, რათა ისინი დამოუკიდებლად მივიდნენ პრობლემის გადაწყვეტამდე. სოკრატული მეთოდის გამოყენება შესაძლებელია დისკუსიით, დებატებით, პრობლემური კითხვების დასმით და სხვა. გთავაზობთ ამ მეთოდის გამოყენების მაგალითებს გაკვეთილზე:

- მასწავლებელი სვამს პრობლემურ შეკითხვებს, რათა წაახალისოს მოსწავლეთა აზროვნება მოცემულ საკითხებზე; მოჰყავს დამხმარე და საწინააღმდეგო მაგალითები მოცემული მოვლენის საილუსტრაციოდ;
- მასწავლებელი კრიტიკულად განიხილავს მოსწავლის არგუმენტებს;
- მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს, ფაქტებისა და ცნებების ანალიზს, მასალაში მოცემული ფარული არსის გაგებას და ა. შ.
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, რომ დააკავშიროს სხვადასხვა წყაროდან მიღებული ცოდნა, სხვადასხვა ელემენტისაგან შექმნას ახალი სტრუქტურა;
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, რომ გამოიტანოს დასკვნა (გააკეთოს შეფასება) საკუთარ არგუმენტაციაზე დაყრდნობით.

სწავლების ეს მეთოდი მოსწავლეს ეხმარება მოტივაციის ამღლებაში და სტიმულს ძლევს მოსწავლეს გახდეს სასწავლო პროცესისი აქტიური მონაწილე.

დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიის“ მიხედვით, განწყობის წარმოქმნის ფაქტორებია მოთხოვნილება და სიტუაცია. მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციის თანხვდომის შედეგად სუბიექტში წარმოიქმნება

სპეციფიკური მდგომარეობა — განწყობა ისეთი ქცევის შესრულებისადმი, რომელსაც შეუძლია კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყოფილება და მისწრაფება წარმატებისაკენ.

დ. უზნაძის მიხედვით, სწავლა ადრეული ბავშვობიდან იწყება, მაგრამ დასრულებულ შინაარსს სკოლის გარემოში იძენს. ამ პერიოდში სწავლა ქცევის ძირითად ფორმად იქცევა. სწავლის პროცესში არა მხოლოდ კონკრეტული ცოდნის ან ჩვევის დაუფლება ხდება, არამედ მოსწავლის იმ უნარებისა და შესაძლებლობების („ძალების") განვითარებაც, რომლებიც სწავლის პროცესში მონაწილეობს. სასკოლო გარემოში სწავლა განსაზღვრულ სასწავლო მასალასთან ერთად აუცილებლად მასწავლებელსაც გულისხმობს, მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეს, რისთვისაც სასწავლო მასალას მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით გარდაქმნის და ისე აწვდის მას. მასალა, ერთი მხრივ, მოსწავლის ცოდნისა და უნარების („ძალთა") აქტუალური დონის შესატყვისი უნდა იყოს, მეორე მხრივ კი – მისგან გარკვეულწილად დაშორებული, რათა ხელი შეუწყოს განვითარებას. მასწავლებლის ფუნქცია სწორედ ამ პირობების რეალიზაციაა: მოსწავლისთვის ახალი მასალის მისაწვდომად გადაცემა, „ახსნა." „ახსნა კი უცნობის ნაცნობზე, ახლის ძველზე დაყვანასა და სწორედ ამით ნაცნობისა და ძველის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას ნიშნავს~, – აღნიშნავს დ. უზნაძე.

ამათგან განსხვავებით, სწავლის ცნება თავის ნამდვილ, დასრულებულ შინაარსს სკოლის ნიადაგზე იძენს. სასკოლო სწავლება, ერთი მხრივ, გულისხმობს იმ ფსიქიკურ აქტივობას (სწავლას), რომელსაც ბავშვი ახორციელებს რამის შესასწავლად, მეორე მხრივ კი მასწავლებლის მონაწილეობას ამ პროცესში. იგი ასწავლის მოსწავლეს და მისი ძალების შესატყვისად გარდაქმნის სასწავლო მასალას.

განწყობა ხელს უწყობს მოსწავლეს მოტივაციის ამაღლებაში და დასახული მიზნების მიღწევაში. ჯანსაღი მოტივაცია კი წარმატების მიღწევის წინაპირობას წარმოადგენს.

ჯონ დიუის სახელს უკავშირდება პროგრესული განათლების მოძრაობა, რომლის მთავარ პრინციპს წარმოადგენს გამოცდილებით სწავლა, ანუ **„სწავლა კეთებით". დიუის კონცეფციით,** სწავლა მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი გამოყენების უნარი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი. ცოდნა სამყაროსთან ურთიერთობის პროცესში ყალიბდება.

კეთებით სწავლების ანუ პრაქტიკის მეთოდის გამოყენების დროს ხდება ზუსტი ინსტრუქციის მიწოდება ექსპერიმენტის ან სიმულაციისთვის და არა ინფორმაციის მიწოდება. იგი მიზნად ისახავს, მოსწავლეებმა შეასრულონ ისეთი ქმედებები რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ან ჩვევის ფორმირებას.

პრაქტიკის დროს მასწავლებელი აქტიურად იყენებს გამოხმაურებას (უკუკავშირს), რაც ხელს უწყობს იმას, რომ მოსწავლის პრაქტიკა იყოს აზრიანი და მან მართლაც გააცნობიეროს ის, რასაც აკეთებს და არა ავტომატურად (მექანიკურად) გაიმეოროს. ამგვარი სწავლება მხოლოდ სათანადო გამოხმაურების შემთხვევაში გვაძლევს მნიშვნელოვან ეფექტს. მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა შესთავაზოს აქტივობის სქემა ან მოდელი, სადაც მიღწევის დონეები ნათლად არის მოცემული და მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს, თუ რას მოელიან მისგან და როგორ ფასდება მისი წარმატება, ანუ რა არის ეფექტური `კეთება` და მიზნის მიღწევა.

ამრიგად, პრაქტიკის მთავარი პრინციპებია: მოსწავლეებისთვის პრაქტიკული დავალების მიცემა, მათი წახალისება, სათანადო გამოხმაურების მიწოდება, რათა მათ აზრიანად იმოქმედონ;

კეთებით სწავლის დროს:

• მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლის ჩართვას პრაქტიკულ საქმიანობაში, რათა მას გამოცდილებით სწავლის საშუალება მიეცეს;

• მასწავლებელი ისეთ დავალებას აძლევს მოსწავლეს, რომლის პრაქტიკულად შესასრულებლადაც საჭიროა ახლად ახსნილი ცნებების (დებულებების) გამოყენება.

დიუის იდეები განათლების სფეროში აქტიურად გამოიყენება: სწავლა გამოცდილებით, ჯგუფური მუშაობა, ინდივიდუალიზაცია, აზრისა და იდეების თავისუფლება და ა.შ.

მოსწავლე საკუთარი ცოდნის, წარმოსახვის, ინტელექტისა და შემოქმედების პროდუქტს ხედავს. ეს მას სიამოვნებას ანიჭებს, რაც, ერთის მხრივ, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების სტიმულს აძლევს, მეორეს მხრივ კი, აცნობიერებინებს და აჩვევს მას, რომ მოფიქრება და ჩანაფიქრის განხორციელება ერთი მთლიანი პროცესის ორი ფაზაა.

მონტესორის სისტემა ბავშვს ეხმარება ნებისყოფის განვითარებაში. მონტესორის განათლების სისტემაში შექმნილია სპეციალური პირობები იმისათვის, რომ ბავშვის გარკვეული მახასიათებლები, როგორებიცაა ინიციატივა, დამოუკიდებლობა, კონცენტრაცია, თვითრეგულაცია, თანაგრძნობა, გახდეს თვალსაჩინო და ბუნებრივი, ნორმალიზებული მოვლენა. მათი გათავისება არ ხდება ძალდატანებით ან მითითებებით. სწორედ ამის დამტკიცება სურდა მონტესორის, რომ ეს მახასიათებლები ბავშვში ბუნებრივად დევს. ისეთი მახასიათებლები კი, როგორებიცაა სიჯიუტე, ჭირვეულობა, სიზარმაცე და ა.შ. ვლინდება მაშინ, როდესაც გარემო არ უპასუხებს ბავშვის მოთხოვნილებებს და განვითარების ბუნებრივი პროცესი ფერხდება. როდესაც ბავშვებს აქვთ თავისუფლება იმ გარემოში, რომელიც მათზეა მორგებული, იწყებენ სასურველ მოქმედებას, ისინი გამოცოცხლდებიან, კმაყოფილებას განიცდიან. და მას შემდეგ, რაც აქტივობას განაგრძობენ სასურველ მოქმედებაზე კონცენტრირებით, ბავშვები სწავლობენ შინაგან დისციპლინას და განიცდიან სიმშვიდეს. სწორედ, ბავშვის ამ მახასიათებლების ნორმალიზაცია არის მონტესორის განათლების სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი.

მონტესორის პედაგოგიკა აქტუალობას არ კარგავს 21-ე საუკუნეშიც და აქტიურად გამოიყენება როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებში. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს მონტესორის სახელობის უამრავი სკოლა, რომლებიც გარკვეულწილად იყენებენ მის მეთოდს, თუმცა მცირე ინტერპრეტაციებით.

ალბერტ ბანდურას ექსპერიმენტმა დაადასტურა მოსაზრება, რომ დაკვირვებით სწავლა ადამიანის თანდაყოლილი უნარია. თუმცა მოდელირება მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, როცა მისაბაძი ქცევა კომპეტენტურ, ძალაუფლების მქონე პიროვნებას ეკუთვნის. ბავშვები დაკვირვების გზით კონკრეტულ ქცევასთან ერთად ემოციურ რეაქციებსაც "სწავლობენ".

შეიძლება ითქვას, რომ ბანდურას თეორია ბიჰევიორიზმისა და კოგნიტიური მიდგომის შემაკავშირებელი რგოლია. ბანდურა ამტკიცებს, რომ ადამიანის ფუნქციონირებას მხოლოდ შინაგანი ან გარეგანი ფაქტორები კი არა, პიროვნული თვისებები, გარემო, ქცევები და მათი ურთიერთდამოკიდებულებაც განსაზღვრავს. ბიჰევიორისტული შეხედულების თანახმად, მოსწავლე საკუთარი გამოცდილების საფუძველზე სწავლობს. სოციალურ-კოგნიტიური თეორია სასწავლო არენას აფართოებს და სწავლის პროცესში სხვების გამოცდილების გამოყენებას რთავს. თვითრეგულაცია კი არა მხოლოდ საკუთარი სააზროვნო პროცესის ძლიერ და სუსტ მხარეებს შეისწავლის, არამედ მთელი შემეცნებითი პროცესისა და მასთან დაკავშირებული ფუნქციების მართვის შესაძლებლობას იძლევა.

აბრაჰამ მასლოუს მოტივაციის იერარქიული თეორიის მიხედვით სოციალური და პიროვნების განვითარების მოთხოვნილებები ადამიანის განვითარებასთან ერთად ყალიბდება. მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიულ მოდელში ბიოლოგიური, ანუ საბაზისო მოთხოვნილებები ყველაზე დაბალ საფეხურზეა, ხოლო პიროვნების განვითარებისა და საკუთარი თავის რეალიზაციის მოთხოვნილება _ ყველაზე მაღალ საფეხურზე.

მასლოუს თეორიის მიხედვით, ადამიანი მოთხოვნილებებს ამ იერარქიაში მოცემულიb თანმიმდევრობით იკმაყოფილებს. ყოველი საფეხური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ აქტუალური ხდება მომდევნო საფეხურის მოთხოვნილება. ანუ ადამიანს მაღალი დონის მოთხოვნილებები გაუჩნდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული აქვს დაბალი დონის ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობისათვის საჭირო მოთხოვნილებები. თვითაქტუალიზაციის დონე სხვა

დონეებისგან განსხვავებით დანაკლისის შევსებაზე კი არ არის მიმართული, არამედ პიროვნების განვითარებასა და მისი შესაძლებლობების რეალიზაციაზე.

გარეგნულად ერთსა და იმავე ქცევას შეიძლება განსხვავებული მოტივაცია ედოს საფუძვლად. მაგალითად, მოსწავლის ქცევა _ კარგად სწავლა _ შეიძლება სხვადასხვა მოტივით იყოს განპირობებული. ზოგისთვის კარგად სწავლის მოტივია დასჯის შიში, ზოგისთვის ინტერესი, ზოგისთვის კი აღიარების მოთხოვნილება.

ეფექტური სწავლება მოსწავლეთა მოტივაციის დონეზეა დამოკიდებული. მასლოუს იერარქიის მიხედვით, სწავლის მოთხოვნილების აღმძვრელი შეიძლება იყოს განსხვავებული დონის მოტივაცია. ეს დამოკიდებულია ბავშვის ასაკსა და ინდივიდუალურ თავისებურებაზეც. დაწყებით კლასებში მოსწავლისათვის მეტად მნიშვნელოვანია ჯერ უსაფრთხოების და შემდეგ მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ხოლო მოზარდებისთვის წამყვანი უკვე თვითპატივისცემის მოთხოვნილება ხდება. დაწყებით კლასებში ბავშვის ეფექტური სწავლებისათვის მეტად მნიშვნელოვანია სტაბილურობა, წესრიგი და ა. შ. ამავე დროს მნიშვნელოვანია ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდა. თუ მოსწავლე თავს იზოლირებულად ან გარიყულად გრძნობს, ვერ ახერხებს იმის ათვისებასაც კი, რაც შეუძლია. ამ დონეზე ბავშვისათვის მეტად მნიშვნელოვანია იმის განცდა, რომ ის ჯგუფის სრულფასოვანი წევრია. ამის საფუძველზე ყალიბდება თვითპატივისცემის მოთხოვნილება, მიღწევაზე ორიენტაცია, ჯგუფში საკუთარი ადგილის დამკვიდრებასა და სტატუსზე ზრუნვა.

მასლოუს მოტივაციის იერარქიული თეორიის ცოდნა საშუალებას აძლევს პრაქტიკოს მასწავლებლებს, დაადგინონ იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე, განსაზღვრონ, რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას, რის შედეგადაც შესაძლებელია სწავლის ადეკვატური სტრატეგიების შემუშავება და მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა.

ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლისადმი მიზანსწრაფვის განვითარებასა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად მოტივაციის გაზრდას უამრავი კვლევა მიეძღვნა.

2008 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცემულ მეთოდურ სახელმძღვანელოს სამწიგნეულში, კერძოდ, „განვითარებისა და სწავლების თეორიებში“, განხილული თითოეული თეორია გვაძლევს რეკომენდაციებს მამოტივირებელი გარემოს შექმნისა. დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით, ინდივიდმა, რომ რაიმე ქცევის განხორციელება შეძლოს, იგი როგორც მთლიანობა, სრულიად გარკვეული უნდა იყოს მდგომარეობაში. განწყობა ხელს უწყობს მოსწავლეს მოტივაციის ამაღლებასა და დასახული მიზნების მიღწევაში, ჯანსაღი მოტივაცია კი წარმატების მიღწევის წინაპირობას წარმოადგენს.

2007 წელს ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრის მიერ შექმნილ მეთოდოლოგიური სახელძვანელოში „ როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“ საუბარია სააზროვნო უნარების განვითარებაზე ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომლის უმთავრესი მიზანია რთული სააზროვნო უნარჩვევების - კრიტიკული, შემოქმედებითი რეფლექსიური აზროვნების - სწავლება.

მოსწავლე უნდა გასცდეს მასალის უბრალოდ დამახსოვრება-გაზეპირებას, კერძოდ, მან ცოდნის დაგროვებასთან ერთად უნდა შეძლოს ამ ცოდნის გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, შეფასება. სწავლისადმი მიზანსწრაფვა სწორედ აზროვნების შედეგია. აზროვნების ამოქმედების დროს ადამიანი გააზრებულად სწავლობს და ხდება უფრო გამჭრიახი.

2008 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში „გამოცდილი მასწავლებელი“ განხილულია საკითხი, მოლოდინების საფუძველზე როგორ ავუმაღლოთ მოსწავლეებს მოტივაცია. იგი საშუალებას გვაძლევს გავითავისოთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საკლასო გარემო და მასწავლებლის მოლოდინები მოსწავლეების მიმართ. ეს მნიშვნელოვანწილად გვიხსნის იმას, რასაც საკლასო ოთახში ვხედავთ _ კარგსა თუ ცუდს, სასარგებლოსა თუ ფუჭს. თვით მოლოდინთა შემჩნევა შეუძლებელია, ისინი ატმოსფეროს მსგავსად, ჰაერშია გაბნეული და იგი მხოლოდ ადამიანთა შორის არსებობს და მათი ურთიერთობის ნაწილია.

2010 წელს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში „ეფექტიანი სწავლება-თეორია და პრაქტიკა“ განხილულია მოსწავლის ცნობისმოყვარეობის გასაღვიძებლად აუცილებელი გზები და ხერხები, განათლების, ცოდნის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების ხელშემწყობი გარემოებები, სასწავლო აქტივობები, მოსწავლეთა შეფასება/წახალისება და კონტროლის/პასუხისმგებლობების განაწილება, სწავლის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბების საშუალებები.

2014 წელს მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში „ინოვაციური მეთოდები შემოქმედებითი სწავლებისათვის“, გადმოცემულია თვალსაზრისი რომ შემოქმედებითობა ადამიანის განვითარებისათვის არსებითია. აქ საუბარია შემოქმედებითი სწავლების როლზე მოტივაციის ამაღლებაში. საკლასო ოთახში არა მხოლოდ იმ მოსწავლეებს უნდა მიექცეთ ყურადღება, რომლებიც იოლად ითვისებენ კურიკულუმით გათვალისწინებულ ფაქტებს, არამედ იმ ბავშვებსა და ინდივიდებს, რომლებსაც შეუძლიათ სხვა თვალით დაინახონ სამყარო „ჩარჩოებს გარეთ“.

2016 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ მასწავლებლის წიგნში „ინტერაქტიული მეთოდები“ განხილულია ურთიერთსწავლებლების საფუძველზე მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა მიხედვითაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლობს გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებულად გარშემო ყველაფერს: ბუნებას, ადამიანებს, გარემოს. როგორც ცნობილია, ბავშვები არა მხოლოდ დიდებისგან, არამედ ერთმანეთისგან უფრო ხალისით სწავლობენ. სწორედ ამ ფსიქოლოგიურ ფაქტორს ეფუძნება ურთიერთსწავლების სხვადასხვა სტრატეგია, რომლებიც შეიძლება მასწავლებელმა სწავლებისას გამოიყენოს. სკოლაში მოსწავლე, რასაც თვითონ აირჩევს, იმას შესაბამისი პასუხისმგებლობითაც მოეკიდება, რადგან ეს იქნება მისი ღირსების საქმე. მათთვის მნიშვნელოვანია, რას ფიქრობენ თანატოლები მათზე, რა ადგილი უჭირავთ საკლასო სივრცეში. ნებისმიერ მოსწავლეს

სურს მოიპოვოს ან გაიუმჯობესოს ადგილი ამ სივრცეში, ინტერაქტიული მეთოდები კი ყოველ მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს თანაკლასელთა წინაშე წარმოჩნდეს თავისი შესაძლებლობებითა და პიროვნულობით. დაკისრებული როლი ყოველთვის აიძულებს მოსწავლეს, იმოძრაოს, მოიფიქროს, გადაწყვიტოს, სხვათა იდეებს თავისიც მიაშველოს, რათა ჯგუფის სრულუფლებიან წევრად იგრძნოს თავი და გამარჯვებისთვის იბრძოლოს.

2016 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ მასწავლებლის წიგნში „შეფასება: მოსწავლე, გაკვეთილი და შიდა სასკოლო“ საუბარია შეფასების სისტემასა და მის ეფექტურობაზე, თუ რამდენად მოქმედებს შეფასება სწავლისადმი მიზანსწრაფულობაზე. შეფასების საგანი მხოლოდ ნიშნის დაწერა არ არის – ის მოიცავს პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებას, საგაკვეთილო შეფასებას, საშინაო დავალებას და მშობლებთან კომუნიკაციას. პრაქტიკა და უკუკავშირი ეფექტური სწავლების აუცილებელი კომპონენტებია და საკლასო დავალებები, ქვიზები, ტესტები და ალტერნატიული შეფასებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, მოახდინონ საკუთარი ცოდნა-უნარების დემონსტრირება და მიიღონ მასწავლებლის კომენტარი. ასეთი უკუკავშირი ძალზე სასარგებლოა არა მხოლოდ მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის, არამედ, მშობლებისა და სკოლის ადმინისტრაციისთვის. მასწავლებლებს შეფასება აწვდის ინფორმაციას სწავლის შედეგების ეფექტურობის შესახებ. თუ მოსწავლეები ვერ სწავლობენ, მასწავლებელმა უნდა შეცვალოს მიდგომები და სწავლების მეთოდები. თუ სწავლობენ, მას შეუძლია განაგრძოს მუშაობა და განავითაროს და განავრცოს მოსწავლეთა ცოდნა.

§3. სწავლის მოტივაცია - სასურველი მიზნის მიღწევისკენ მიმართული პროცესი.

პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლის მოტივაციას და მის განმაპირობებელ ფაქტორებს. აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად გააზრება როგორც პედაგოგის, ასევე მოსწავლის მიერ გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა მომავალ წარმატებაში.

სწავლის მოტივაცია სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება. განვიხილავთ რამდენიმე მნიშვნელოვან შიდაპიროვნულ ფაქტორს, რომლებიც სწავლის მოტივაციას განაპირობებს:

1.ცნობისმოყვარეობა

ადამიანი ბუნებით ცნობისმოყვარეა. ის გამუდმებით ეძებს ახალ გამოცდილებას, თავსატეხს, ცდილობს, გადაჭრას ახალ-ახალი პრობლემები და ა.შ., რის შედეგადაც მას ისეთი უნარები და კომპეტენციები უვითარდება, რომლებიც ხელს უწყობს გარემოსთან ადაპტაციასა და შინაგანი წონასწორობის დამყარებაში.

სწავლა-სწავლება ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც იგი მოსწავლის ინტერესებისკენ არის მიმართული. მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მოსწავლეებს გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საკითხის მიმართ. ცნობისმოყვარეობა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელი ფაქტორია და, ამდენად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლა-სწავლების პროცესში. ის გონებას მიმართავს პასიურობიდან აქტიურობისკენ, ახალი იდეების აღმოჩენისა და ჰიპოთეზების წარმოდგენისკენ, ახალი მოვლენებისა და ფაქტების შემეცნებისკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცნობისმოყვარეობა მოსწავლეს კვლევა-ძიებისკენ უბიძებს.

სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს ცნობისმოყვარეობა აღუძრას ნაცნობი გამოცდილების კონტექსტში, გამოიყენოს ისეთი სტიმულები, რომლებიც არ იქნება მათთვის სრულიად უცხო. საჭიროა ბალანსის დაცვა მოსწავლის უკვე არსებულ კოგნიტურ სქემასა და ახალი დავალების სირთულეს შორის _ წინააღმდეგ

შემთხვევაში შესაძლოა მოსწავლემ დაუძლევლად მიიჩნიოს ამოცანა და პასიურ მდგომარეობაში გადავიდეს.

მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს ცნობისმოყვარეობა აღუძრას: პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მიწოდებით; რეალური ფაქტის გაცნობამდე მასში წარმოდგენილ პრობლემურ სიტუაციაზე მსჯელობით; ვარაუდის გამოთქმაზე ორიენტირებული კითხვების დასმით; ახალი, უცნობი ფაქტებით; რაციონალური და ემოციური ფაქტორების თანხვედრით; მხატვრული ლიტერატურისა და ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით; ვიზუალური და აუდიომასალით; მოკლე ისტორიული ექსკურსით და ა.შ.

2.თვითრწმენა

თვითრწმენა მნიშვნელოვანი მოტივია სწავლისადმი პოზიტიური განწყობის შესაქმნელად. იმისთვის, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესში აქტიურად ჩაერთოს, ის დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში და ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს დასახული მიზნის მიღწევაში. წარმატების განცდა მოსწავლეს, საზოგადოდ, ადამიანს ხშირად აღუძრავს სურვილს, აღმოჩნდეს მსგავს მდგომარეობაში, რაც თავისთავად იქცევა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელ ფაქტორად.

როგორ განვუმტკიცოთ მოსწავლეებს თვითრწმენა? ამისთვის მასწავლებელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას მოსწავლეების ცოდნის დონისა და კომპეტენციების, სასწავლო პროცესისთვის ხელსაყრელი თუ არასასურველი რწმენის შესახებ. მას შეუძლია ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ნეგატიური რწმენის პოზიტიურით შეცვლას. საწყის ეტაპზე სასურველია, მასწავლებელმა მათ ისეთი დავალებები მისცეს, რომლებსაც იოლად დაძლევენ _ ეს უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ წარმატების განცდას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შესრულებული საქმიანობის ადეკვატურად შეფასება, მისი პოზიტიური მხარის აღიარება და საჭიროების შემთხვევაში _ კონსტრუქციული შენიშვნების მიცემა. სასწავლო პროცესი, რომელიც დაფუძნებულია ეფექტურ უკუკავშირზე, მოსწავლეს აგრძნობინებს საკუთარ პროგრესს და წარმატებას,

თანდათანობითი სტიმულირება კი ხელს შეუწყობს მას, ობიექტურად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები და განიმტკიცოს თვითრწმენა.

თვითრწმენის განმტკიცება უშუალოდ უკავშირდება კომპეტენციების განვითარებას, რისი მიღწევაც შესაძლებელია მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი განვითარების შესაბამისი დავალებებისა და სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. ამგვარი სასწავლო გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ სხვადასხვაგვარი გამოცდილების მიღებას. განვითარებული კომპეტენციები კი შემდგომ თავად იქცევა წამახალისებელ ფაქტორად და თვითრწმენის განმტკიცების საფუძვლად.

3. დამოკიდებულება

რა არის დამოკიდებულება? დამოკიდებულება შეიძლება განიმარტოს როგორც ადამიანის მიერ მოვლენების, ფაქტების, იდეების, პიროვნებების და ა.შ. პოზიტიური ან ნეგატიური შეფასება. ის დამოკიდებულია გარე სამყაროს ინდივიდუალურ აღქმაზე და მომდინარეობს ადამიანის ფიქრებიდან, ემოციებიდან, გრძნობებიდან და გამოცდილებიდან. პირადი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უმთავრესად ის გარემო, საზოგადოება, რელიგია, კულტურა და ტრადიცია განაპირობებს, რომელშიც ადამიანი იზრდება და ვითარდება. აქვე უნდა ითქვას, რომ დამოკიდებულების შეცვლაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი გარემო, სადაც ღირებულებების, კულტურული და საზოგადოებრივი ნორმების შეფასება-გადაფასება სულ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, საინფორმაციო საშუალებები და სხვ. გამუდმებით ცდილობენ, შეცვალონ ადამიანის ფიქრები, ემოციები და განცდები ამა თუ იმ საკითხისა თუ მოვლენის მიმართ. აი, ამ რთულ ინფორმაციულ გარემოში მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა შეასრულოს გზამკვლევის როლი მოსწავლეთა პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში.

ვიდრე უშუალოდ სწავლის მიმართ მოსწავლის დამოკიდებულების განხილვას შევუდგებოდეთ, გავეცნოთ მის შემადგენელ კომპონენტებს, რომელთა გააზრებაც

მასწავლებელს საშუალებას მისცემს, ადეკვატურად დაგეგმოს და გამოიყენოს შესაბამისი სტრატეგიები მოსწავლის პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად.

დამოკიდებულება სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: 1. აფექტური კომპონენტი მოიცავს ადამიანის ემოციურ რეაქციას კონკრეტული ობიექტების მიმართ. ის გამომდინარეობს ადამიანის ემოციური გამოცდილებიდან. ასეთი დამოკიდებულება ლოგიკური აზროვნების შედეგი კი არ არის, არამედ ადამიანის შინაგანი მიმართებების, გრძნობებისა და განცდების გამოხატულებაა. 2. ქცევითი კომპონენტი კონკრეტულ ქმედებებში აისახება. მოსწავლემ არ იცის, მისაღებია თუ არა მისთვის კონკრეტული ქცევა, სანამ თავად არ გამოსცდის მას პრაქტიკაში. ასეთი დამოკიდებულება უმეტესად საკუთარ ან სხვების ქმედებებზე დაკვირვების შედეგად ყალიბდება. 3. კოგნიტური კომპონენტი ეფუძნება რაციონალურ გამოცდილებასა და ფაქტებს. ასეთი დამოკიდებულება საშუალებას აძლევს ადამიანს, მოვლენები, პიროვნებები, ფაქტები თუ მოსაზრებები შეაფასოს ლოგიკაზე დაყრდნობით, არსებული გამოცდილების საფუძველზე.

მნიშვნელოვანია ასევე, მასწავლებელმა იცოდეს, რომ მოსწავლეთა დამოკიდებულება გარკვეული საკითხების მიმართ და მათი ქცევა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, ის, რომ მოსწავლე უმეტესად მომზადებული მოდის გაკვეთილზე, შესაძლოა სულაც არ ნიშნავდეს, რომ მას პოზიტიური დამოკიდებულება აქვს სწავლის მიმართ. მისი ეს ქმედება შესაძლოა სულ სხვა მოტივით იყოს განპირობებული _ დასჯის შიშით ან/და საჩუქრის მიღების დაპირებით. მასწავლებლის მთავრი ამოცანა კი ის არის, რომ მოსწავლეთა მოტივაცია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და განვითარებისკენ მიმართოს.

როგორ განვსაზღვროთ მოსწავლეთა დამოკიდებულება და როგორ შევუწყოთ ხელი სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას? ამისათვის:

. შექმენით მოსწავლეთათვის უსაფრთხო სასწავლო გარემო;

. შეიტანეთ ურთიერთობაში მეტი სიცხადე და სიზუსტე;

. გამოიყენეთ ეფექტური კომუნიკაცია, როგორც ნდობის ჩამოყალიბების ინსტრუმენტი;

. მიეცით მოსწავლეებს აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება;

. გამოხატეთ პატივისცემა მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და იდეების მიმართ;

. შეეცადეთ განსაზღვროთ, დამოკიდებულების რომელი კომპონენტი უდევს საფუძვლად მოსწავლის შეხედულებას;

. ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად ჩართეთ მოსწავლე სასწავლო პროცესში და დაანახეთ საკუთარი მნიშვნელობა;

. მიეცით მოსწავლეებს საშუალება, მსჯელობითა და დისკუსიებით თავად განსაზღვრონ პირადი დამოკიდებულება სწავლის მიმართ; გაიაზრონ არსებული დამოკიდებულების გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები;

. მათ უნდა იმსჯელონ იმის შესახებ, როგორ დაეხმარებათ პოზიტიური დამოკიდებულება სასწავლო ამოცანების დაძლევასა და მათ მომავალ წარმატებაში;

. მათ უნდა იმსჯელონ იმის შესახებ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ნეგატიურმა დამოკიდებულებამ მათ განვითარებასა და მომავალზე;

. წაახალისეთ ისინი, რათა განუმტკიცდეთ თვითრწმენა.

4. მოთხოვნილებები

მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები შესაძლოა ერთმანეთისგან მეტად განსხვავებული იყოს. ამის შესახებ ყველაზე ცნობილ კლასიფიკაციას ამერიკელი ფსიქოლოგი აბრაჰამ მასლოუ გვთავაზობს. ის ადამიანის მოთხოვნილებათა ხუთ კატეგორიას გამოყოფს: 1. ბიოლოგიური (კვების, წყურვილის დაკმაყოფილების, ძილის…) მოთხოვნილებები; 2. უსაფრთხოების (სტაბილურობის, დაცულობის განცდის…) მოთხოვნილება; 3. კუთვნილებისა და სიყვარულის (ოჯახის, გუნდის, ურთიერთობების, ემპათიის…) მოთხოვნილება; 4. საკუთარი თავის მიმართ

პატივისცემისა და აღიარების (ამა თუ იმ სტატუსის ქონის, წარმატების, რეპუტაციის მოპოვების…) მოთხოვნილება; 5. თვითრეალიზაციის მოთხოვნილება.

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიულ მოდელში ბიოლოგიური, ანუ საბაზისო მოთხოვნილებები ყველაზე დაბალ საფეხურზე განიხილება, ხოლო პიროვნების განვითარებისა და საკუთარი თავის რეალიზაციის მოთხოვნილებები _ ყველაზე მაღალ საფეხურზე. განათლების მიზნები ორიენტირებულია უფრო მაღალი მოთხოვნილებების ყოველდღიურ აუცილებლობად ქცევაზე. მოსწავლეებს ისეთი უნარები და დამოკიდებულებები უნდა ჩამოუყალიბდეთ, როგორიც არის გუნდურად მუშაობის უნარი, სოციალური აზროვნება, სხვისი აზრის მოსმენა და გაზიარება, თვითრეალიზება და ა.შ.

რა მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მოთხოვნილებების დადგენას სწავლის მოტივაციისთვის?

ეფექტური სწავლება მოსწავლეთა მოტივაციის დონეზეა დამოკიდებული. მასლოუს იერარქიის მიხედვით, სწავლის მოთხოვნილების განმსაზღვრელი შეიძლება განსხვავებული დონის მოტივაცია იყოს. მაგალითისთვის მივუბრუნდეთ ზემოთ განხილულ სიტუაციას, რომელიც სწავლის მიმართ მოსწავლის დამოკიდებულებას ეხებოდა. მოსწავლის მიერ დავალების კარგად შესრულება შესაძლოა განპირობებული იყოს: დასჯის შიშით, საჩუქრის მიღების დაპირებით, აღიარების მოთხოვნილებით, ინტერესით და სხვ.

მასწავლებელმა ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის უნდა შეძლოს მოსწავლეთა საჭიროებებისა და მოთხოვნილების დადგენა, განსაზღვროს, იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე და რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას. შედეგად მან უნდა შეიმუშაოს ადეკვატური სტრატეგიები, რითაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართვასა და მათი მოტივაციის ამაღლებას.

როგორც განხილული ფაქტორებიდან ჩანს, მოტივაციის წყაროები მრავალფეროვანია და თითოეული მათგანი გადამწყვეტ როლს ასრულებს

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და მათ წარმატებაში. თუ გსურთ, ხელი შეუწყოთ მოსწავლეთა სწავლის უნარის განვითარებას, ამისთვის აუცილებელია მოტივაციის პრინციპების გააზრება და სასწავლო პროგრამების შედგენისას, ასევე – უშუალოდ სასწავლო პროცესში მათი გათვალისწინება. ეს საშუალებას მოგცემთ, მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ საჭიროებებზე დაყრდნობით შექმნათ ეფექტური და შემოქმედებითი სასწავლო გარემო და უზრუნველყოთ სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის აქტიური და ხალისიანი ჩართვა.

თავი II. თვითმართვადი სწავლის უნარების განვითარება

§1. სწავლის სწავლა

სწავლის სწავლა არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც გულისხმობს საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვასა და ორგანიზებას. ამ კომპეტენციით აღჭურვილი ადამიანი იყენებს სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგებს. იგი ერთ მთლიანობაში მოაქცევს სხვადასხვა სფეროში მიღებულ ცოდნას და მიზანმიმართულად იყენებს მას, არ კმაყოფილდება მიღწეულით და აქვს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარების უნარი, რაც განაპირობებს მის პიროვნულ და პროფესიულ ზრდას და უზრუნველყოფს ახალი ცოდნის დამოუკიდებლად შეძენას.

“რაც უფრო მეტი იციან მოსწავლეებმა ფიქრისა და სწავლის შესახებ, ანუ რაც უფრო მაღალია მათი მეტაკოგნიტური ცნობიერება, მით უფრო ეფექტურად სწავლობენ ისინი სკოლაში” (დევიდ პერკინსი)

თუ სწავლა-სწავლების პროცესი გააზრებული არ იქნა, არ დაეფუძნა მოსწავლისა და მასწავლებლის თანამშრომლობასა და ნდობას, ყოველგვარი ცდა უშედეგო აღმოჩნდება. ძალადობაზე დამყარებული სასკოლო და საკლასო დისციპლინა დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანს ვერ აღზრდის.

მასწავლებლის დახმარების, მის მიერ მიცემული გეზის გარეშე მოსწავლე ვერ შეძლებს, უკეთეს შემთხვევაში კი გაუჭირდება საკუთარი შემეცნებითი პროცესების კონტროლი. სწავლა სწავლებაზე ძნელია, ხოლო მოსწავლეობა, როგორც ერთმა პედაგოგმა შეაფასა, ყველაზე რთული პროფესიაა. როგორც არ უნდა შევუმსუბუქოთ მოსწავლეებს ეს პროცესი, მათ სწავლის სამივე საფეხურზე უწევთ სერიოზული სირთულეების დაძლევა. სწავლის სწავლა კი დაეხმარება, უკეთ დაგეგმონ, აკონტროლონ, მოიპოვონ, დააახარისხონ, გაუზიარონ და შეარჩიონ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე დავალებები.

შემეცნებით პროცესებზე დაკვირვებას, როგორც იტყვიან, “თვითკონტროლს”, მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს; უმრავლესობა გაზვიადებულად

წარმოიდგენს რეალურად არსებულ მდგომარეობას: მიაჩნიათ, რომ ერთი წაკითხვით სწავლობენ, ვინაიდან გაგება და სწავლა ერთი და იგივე რამ ჰგონიათ, ეს კი ცოდნის მოჩვენებითობას იწვევს. უნდა ითქვას, რომ ასეთი ვითარება სწავლის მხოლოდ დაწყებით საფეხურზე არ არის.

მეორე უკიდურესობაა არასრულფასოვნების კომპლექსი. ამ კომპლექსით შეპყრობილ მოსწავლეებს არ სჯერათ საკუთარი თავის, ჰგონიათ, რომ არ შეუძლიათ ახალი მასალის სრულყოფილად გაგება და სწავლა, აზრადაც არ მოსდით, თვითონაც სცადონ რამის შექმნა, კლასის წინაშე წარდგენა, მიმდინარე აქტივობების დაგეგმვა ან შეფასება. სამწუხაროდ, ხშირად ეს მოსწავლის წარუმატებლობისადმი მასწავლებლის, მშობლებისა და ამხანაგების არასათანადო დამოკიდებულების შედეგია.

სწავლის სწავლის უნარის გამომუშავება ნიშნავს, მოსწავლემ ყოველი აქტივობის შემდეგ გაიაზროს: სასწავლო-შემეცნებითი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეს მეტაკოგნიციის უნარის გამომუშავებაში დაეხმარება; შეფასება, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლის შეფასების პროცესი სავსებით გამჭვირვალეა, რადგან მასწავლებელი ხელმძღვანელობს შეფასების სქემებითა და რუბრიკებით. მოწავლისთვის გასაგებია, რატომ აფასებენ ასე და არა სხვაგვარად. მიუხედავად ამისა, შეფასება არცთუ მარტივი პროცესია. მოსწავლის ცოდნის გასაზომავად არაერთი საშუალება არსებობს, თუმცა ყოველთვის მასწავლებლის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, იქცევა თუ არა კონკრეტულ მომენტში მიღებული შეფასება მოსწავლის შემდგომი მიღწევების საფუძვლად. მოსწავლის მოტივაციისა და ინტერესის ასამაღლებლად კარგია მათი ჩართვა შეფასების რუბრიკის შემუშავებაში.

თვითშეფასების შემთხვევაშიც სუბიექტივიზმისგან შეფასების სქემები დაგვიცავს. კარგად შედგენილი სქემა და დიაგრამა ე. წ. სვოტ-ანალიზიც არის, რადგან ძლიერ და

სუსტ მხარეებს გამოკვეთს. მოსწავლეები პერიოდულად რედაქტირებას უკეთებენ თავიანთ დავალების რვეულებს.

მოსწავლეთა თვითშემეცნების ასამაღლებლად საუკეთესო საშუალებაა ურთიერთშეფასება. თავდაპირველად მოსწავლეებს უჭირთ ერთმანეთის ობიექტურად შეფასება – ჩვეულებრივი ამბავია, არ სურთ, აწყენინონ თანაკლასელს, უფრთხიან ურთიერთობის დაძაბვას, უჭირთ იმის გააზრება, რომ მითითებებსა და შენიშვნებს მხოლოდ დახმარების მიზნით აძლევენ ერთმანეთს. აქ ხელსაყრელია "სენდვიჩის" მეთოდი: ჯერ – ღირსების ხაზგასმა, მერე – შენიშვნა, რეკომენდაცია, მითითება, რჩევა, ბოლოს – ისევ დადებითი მხარის წარმოჩენა. როდესაც მოსწავლეებს ეს მეთოდი ვასწავლე, ისიც ვუთხარი, რომ ბუნებაში იშვიათია უშეცდომო, იდეალური ნამუშევარი და თუ ამ ფორმით ერთმანეთის დახმარებას შეძლებენ, ძალიან კარგი იქნება.

თვითშემოწმება ეფექტურია ცოდნის კონსტრუირების დროს. მოსწავლე ინიშნავს, რა ვერ გაიგო, რა დარჩა მისთვის ბუნდოვანი, რის განმარტება სჭირდება, როდის შეასრულებს დავალებას სრულყოფილად, იცის თუ არა, რა ინფორმაცია უნდა მოიძიოს და მისთ. ცხადია, ამ დროს ყველაზე მარტივი და ეფექტურია საკითხის შესახებ თანაკლასელთან ან მასწავლებელთან ერთად მსჯელობა. მასწავლებელი სისტემატურად უნდა ახსენებდეს მოსწავლეებს: თუ რამე არ ესმით, ეს პოზიტიური გამოხმაურებაა იმაზე, რომ მოტივირებულნი არიან, საკითხი ბოლომდე გაიგონ და გაიაზრონ. მოსწავლის მიერ კითხვის დასმა ამ შემთხვევაში ყველაზე ეფექტური აქტივობაა. არაერთხელ მითქვამს: ყველაფერი "ესმის" მას, ვინც საკითხის არსი ყველაზე ნაკლებად გაიაზრა. ეს სიტყვები ერთგვარად ათამამებს მათ და წაახალისებს, ყურადღებით მოისმინონ და მსჯელობაშიც ჩაერთონ.

პედაგოგიკაში პოპულარული გახდა ძალისხმევის დაფასებისა და ეფექტურობის თეორია, რომლის თანახმადაც, რწმენა იმისა, რომ ძალისხმევა შედეგს გამოიღებს, უფრო ეფექტურს ხდის ადამიანის მოქმედებას ნებისმიერ სფეროში. კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანი წარმატებას, წესისამებრ, ჩამოთვლილთაგან

ერთ-ერთ ფაქტორს უკავშირებს: უნარს, ძალისხმევას, სხვა ადამიანებს, იღბალს. ამ ფაქტორთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ძალისხმევა, რადგან მის გარეშე თვით უნარიც კი აუთვისებელი რჩება. სხვა ადამიანებსა და იღბალს მინდობილი კი ვერასოდეს იქნება დამოუკიდებელი და, შესაბამისად, ვერც წარმატებას მიაღწევს.

ძალისხმევის მონიტორინგი შეიძლება დღიურის, ე.წ. თვითანგარიშის მეშვეობითაც. ამ დღიურში ჩაინიშნავენ, როგორ აღწევენ ინდივიდუალურ თუ საერთო მიზნებს, აღწერენ მიღწევებსა თუ შეცდომებს.

მოსწავლის ძალისხმევის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია ისტ-ის გამოყენება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინტერნეტს მოსწავლეები ყველაზე ნაკლებად სასწავლო-საგანმანათლებლო მიზნით იყენებენ. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი საკუთარ ბლოგზე განათავსებს ისეთ დამხმარე და დამატებით მასალებს, რომლებიც მოსწავლეს სასწავლო თემის ათვისებაში დაეხმარება – ეს გაზრდის სასწავლო ფუნქციით ინტერნეტსივრცეში ჩართულობას. მოსწავლეს შეუძლია, ამ ფორმითაც მართოს მეტაკოგნიტიური პროცესები. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოზარდები უკვე მეხუთე-მეექვსე კლასებში ეუფლებიან პრეზენტაციის მომზადებასა და წარმართვას. ისინი ამ სამუშაოს ხალისითა და ინტერესით, ცნობისმოყვარეობითა და საქმისადმი პასუხისმგებლობით ეკიდებიან.

საგანმანათლებლო სოციალური ქსელი “edmodo” (edmodo.com) უნიკალურ შესაძლებლობას გვაძლევს, მრავალმხრივად ვითანამშრომლოთ მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან. ამ ქსელში ჩართვა არ არის რთული, დაცულია მოსწავლის შედეგების კონფიდენციალურობა. იგი გვაძლევს დაკვირვებისა და კვლევის არაჩვეულებრივ საშუალებას, მოსწავლეებს სწავლის სწავლაში დაეხმარება, ჩვენ, მასწავლებლები, კი ვირტუალურად ვაწარმოებთ საგნმანათლებლო-პედაგოგიურ საქმიანობას დასახული გეგმით. სასკოლო ცხოვრებაში მშობლების ჩართვა ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა; მშობელთა იმ კატეგორიას, რომელსაც ხელი

მიუწვდება ინტერნეტზე (და ასეთი უკვე უმრავლესობაა), ნებისმიერ დროს მივაწვდით საჭირო ინფორმაციასა და რესურსს.

სწავლის სწავლა მეთოდი არ არის, – ეს პროცესია, რომელზეც განვითარებისა და სწავლის ნებისმიერი თეორიით ხელმძღვანელობისას უნდა ვიფიქროთ. რაც უფრო მეტს ვსწავლობთ, მით უფრო მეტი გვრჩება შესასწავლი. ამიტომაც თქვა ბრძენმა სოკრატემ: "მე ის ვიცი, რომ არაფერი ვიციო".

არსებობს მეორე უკიდურესობაც – როგორც გ. დოჩანაშვილის მოთხრობის პერსონაჟი იტყოდა, ის, ვინც მხოლოდ "რობინზონ კრუზო" წაიკითხა, თავს განათლებულ ადამიანად მიიჩნევს, რადგან არც კი იცის, ამქვეყნად სხვა რამე ღირებული თუ შექმნილა. ჩვენ, მასწავლებლები, უნდა ვეცადოთ, მოსწავლეებმა გაითავისონ სოკრატეს სიტყვები, ამაში კი სწავლების სოკრატული მეთოდიც დაგვეხმარება.

§2. სწავლა და სწავლის სხვადასხვა სტილი

თუ ადამიანს მნიშვნელოვანი წარმატებები არა აქვს სწავლაში, ის შეიძლება არასწორად სწავლობდეს. ე. ი. ის არ სწავლობს იმ მეთოდით, რომელიც მის "სტილს" შეესაბამება. არსებობს სწავლის ოთხი სტილი, რომლებიც საყოველთაოდ არის აღიარებული. სწავლის ეს ოთხი სხვადასხვა სტილი გრძნობათა ორგანოებს უკავშირდება. არსებობს სმენითი, ვიზუალური, კომუნიკაციური და მოტორული სწავლის სტილები.

ვიზუალური ტიპი ყველაზე უკეთ სწავლობს იმას, რასაც ხედავს. მისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის წაკითხვა. სწავლის დროს ის უამრავ ჩანაწერს აკეთებს. მას ასევე უყვარს სურათებით, ცხრილებით და ფლეშ-ბარათებით სწავლა. ეს ტიპი ბევრს კითხულობს და ხშირად ოცნებობს ფერებში. ისინი ყველაზე კარგად სწავლობენ სასიამოვნო გარემოში. მათ ურჩევნიათ ისწავლონ აქტივობებით,

რომლებიც დაფუძნებული იქნება კითხვის, წერისა და სასწავლო მასალის ვიზუალურად ათვისებაზე.

სმენითი ტიპები სწავლობენ ყველაზე უკეთ იმას, რაც ესმით. მაგალითად, მათ კარგად შეუძლიათ მელოდიების დამახსოვრება. სწავლისას ისინი თავისთავს უკითხავენ; ახალ სიტყვებს ისინი ხმამაღლა სწავლობენ. ეს ტიპი თავისთავს ხშირად ელაპარაკება . მას სწავლაში ეხმარება კომპაქტ-დისკები ან ლექციები.
ასეთი მოსწავლეები უპირატესობას ანიჭებენ აქტივობებს, რომლებიც მოიცავს მოსმენას, ლაპარაკსა და მასალის ორგანიზებას ვერბალურად.

კომუნიკაციურ ტიპს ურჩევნია საუბრები და დისკუსიები. მათ სჭირდებათ სხვებთან ურთიერთობა, ან დიალოგი. ისინი სვამენ უამრავ კითხვას კლასში და კარგად სწავლობენ ჯგუფებში.

მოტორული ტიპი სწავლობს მოძრაობის საშუალებით. მათ ურჩევნიათ მეთოდი "სწავლა კეთების საშუალებით" და უნდათ გამოსცადონ ყველაფერი. მათ მოსწონთ ფიზიკური აქტიურობა, მათ არ უყვართ თეორია, მაგრამ უყვართ ექსპერიმენტები. ასეთი მოსწავლეებისთვის უფრო მისაღებია აქტივობები, რომლებიც მათ მასალასთან ფიზიკური ურთიერთობისა და შეხების ნებას აძლევს.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ინდივიდს აქვს მისთვის დამახასიათებელი სწავლის სტილი, უმეტესობა რამდენიმე სტილის კომბინაციას ანიჭებს უპირატესობას. ამის გათვალისწინებით მართებულია სწავლების კატეგორიების გაერთიანება, რაც შეიძლება მეტი ოდენობის დავალებების სახით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ძირითად შემთხვევებში თითქმის ყველა ტიპი წარმოადგენს ამ ტიპების ნარევს. არავინ არ არის სწავლის მხოლოდ ერთი ტიპის წარმომადგენელი. ამიტომაც ვსწავლობთ ყველაზე უკეთ მაშინ, როდესაც ჩვენს ყველა გრძნობის ორგანოს ვიყენებთ. ამ დროს ჩვენი ტვინი აქტიურდება სხვადასხვა საშუალებით და კარგად ინახავს ახალ ინფორმაციას. სამწუხაროდ, საუკეთესო მასწავლებელსაც კი შეიძლება ჩაუვარდეს გაკვეთილი, თუ ის ყურადღებას არ მიაქცევს მოსწავლეების სასწავლო საჭიროებებს. ბოლო ათწლეულების

განმავლობაში, ამ საკითხზე კონცენტრირებული მეცნიერების ყურადღების წყალობით, პედაგოგები საკმაო ინფორმაციას ფლობენ, თუ როგორ სწავლობს სხვადასხვა მოსწავლე და რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა თითოეულ ბავშვთან მისასვლელელად.

§3. თვითრეგულირებადი მოსწავლეები - მოსწავლის პასუხისმგებლობის განვითარება.

განათლების სისტემის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მოსწავლეებისთვის დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარებაა. თანამედროვე სამყაროში მართლაც შესაძლებელია ტექნოლოგიების გამოყენებით თვითგანვითარება. ბოლო დროს ბევრს საუბრობენ თვითრეგულირებადი სწავლის სიკეთეებზე. ამ უნარის მქონე ადამიანს დამოუკიდებლად შეუძლია თავისი საქმიანობისა თუ სწავლის პროცესის ეფექტურად დაგეგმვა და განხორციელება.

როგორც ვიცით, მოსწავლე პირველად ცოდნას სხვებზე დაკვირვების შედეგად მოიპოვებს, ანუ პირველადი გამოცდილება მემკვიდრეობითია და დაკვირვებით სწავლის მეთოდს გულისხმობს. სანამ თვითრეგულაციით სწავლის მექანიზმს ავამუშავებდეთ, აქტიურად ვახორციელებთ მოდელირებას – სხვების ქცევის იმიტაციას. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი ბავშვიან ოჯახში უფროსების მხრივ საკუთარი ქცევის მართვა.

თვითდაკვირვების პროცესში ადამიანი შეისწავლის რომელიმე კონკრეტულ ქცევას, რომელიც იმ მომენტში სჭირდება/აინტერესებს. თვითდაკვირვების მომდევნო ფაზა ქცევის შეფასებაა. შეფასებისას მოზარდი ითვალისწინებს როგორც პირად შეხედულებებს, ისე საზოგადოებრივ სტანდარტსაც. თუ პიროვნება საკუთარი წარუმატებლობის მიზეზად პროფესიული განათლებისა და გამოცდილების სიმწირეს ასახელებს, ის თვითრეგულაციისადმი მაღალ მზაობას ავლენს, მარცხის მიზეზების

გამუდმებით გარემოში ძიება კი თვითმართვის დაბალ საფეხურზე მიუთითებს. შეფასების ფაზას მოსდევს რეაგირება – შესწავლილი საკითხის მიმართ დადებითი ან უარყოფითი ემოციების გამოვლენა.

შინაგანი კონტროლის ჩართვა-გამორთვა ადამიანის ხელთაა. თვითკონტროლირებადი გონება არ აძლევს მას არასასურველი ქცევის განხორციელების საშუალებას. თუმცა დაკვირვების პროცესის ხანგრძლივობის შენარჩუნება ცოტას თუ შეუძლია. თვითმართვადი ქცევის სიმწირე განსაკუთრებით მოზარდებში შეიმჩნევა.

თვითრეგულაციის პროცესი ემოციების მართვაზე აგებს პასუხს (სტრესულ გარემოში ორიენტირება, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანა და სხვ.). მოტივაცია საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებისთვის საჭირო და მომავალი მოქმედების მამოძრავებელი ძალაა. ემპათიის უნარი კი ადამიანს სხვისი გრძნობების გაგებას უადვილებს, რაც, თავის მხრივ, სოციალური სიტუაციების სწორად შეფასებას უწყობს ხელს.

ემოციური ინტელექტის განვითარება სკოლის ასაკიდან უნდა დაიწყოს, რადგან იმედგაცრუებითა და მარტოობით გამოწვეული ემოციების მართვა საკმაოდ რთულია და მოზარდთა აკადემიურ წინსვლასაც საგრძნობლად აფერხებს.

მასწავლებლები ხშირად აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებს მონდომება და პასუხისმგებლობა აკლიათ, თუმცა ასეთი სიტუაციის ამსახველი სტანდარტული ფრაზა: “არ უნდა სწავლა და რა ვქნა?!” – დიაგნოზს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე პრობლემის დაფიქსირებას და მისი გადაჭრის გზის ძიებას.

სურვილის გაჩენას ანუ მოტივაციის ამაღლებას სწორედ თვითრეგულაციის განვითარება უწყობს ხელს. მასწავლებელმა როგორმე უნდა იპოვოს “საჭირო ფიქრი”, რომლითაც მოსწავლეს “დაავადებს”. მიზნის დასახვა და თვითმონიტორინგი თვითრეგულაციით სწავლის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯებია. მიზანი მოსწავლემ უნდა დაისახოს და წესებიც თავადვე შეიმუშაოს.

ყველა ქცევა შინაგან მოტივაციას ვერ დაეყრდნობა, ამიტომ გვჭირდება გარეგანი მოტივატორებიც – ჯილდო, შეფასება, დასჯის თავიდან აცილება და სხვ. გარეგანი მოტივაციით განპირობებული ქცევა შეიძლება თვითრეგულაციის განვითარების ადრეულ საფეხურად ჩაითვალოს. შინაგანი მოტივატორების გაჩენას დრო და შედარებით ზრდასრული ფსიქიკა სჭირდება. როცა მოსწავლეები გაითავისებენ, რომ მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ მათ ეკისრებათ, გააანალიზებენ დადებითი და უარყოფითი შედეგების მომტან ქცევებს, მათი თვითრეგულაციის დონე საგრძნობლად აიწევს, თუნდაც გარეგანი მოტივატორებით გამყარებულ სწავლის პროცესში. მოსწავლეს ნელ-ნელა ჩამოუყალიბდება აკადემიური ქცევის ეფექტური თვითრეგულირების მოთხოვნილება, რაც საკუთარ ცხოვრებასა და თვითგანვითარების პროცესზე პასუხისმგებლობის აღებას ნიშნავს. ამასთან, კონკრეტული დავალებების შესასრულებლად ინდივიდს უნდა ჰქონდეს ადეკვატური წარმოდგენა საკუთარი საჭირო უნარების შესახებ. მაშინ მისი ქცევის თვითეფექტურობას ვერაფერი შეუშლის ხელს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმატება მხოლოდ მაღალი ქულების მიღებას არ ნიშნავს. სწავლებაზე ორიენტირებულ გარემოში წარმატებად აღიქმება ნებისმიერი პროგრესი და სასწავლო უნარების დაუფლება. წარმატებაზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში შეცდომა არ ნიშნავს დამარცხებას, ის სწავლის პროცესის ორგანულ ნაწილად აღიქმება.

რაც შეეხება სწავლების თვითეფექტურობას, ის მასწავლებლის თვითრწმენასა და ენთუზიაზმზეა დამოკიდებული. სამართლიანი, მაგრამ მომთხოვნი პედაგოგი სწავლების პროცესში მოსწავლის მცირე წარმატებასა და მზარდ ინტერესს მუდმივად უსვამს ხაზს, დაბალი თვითეფექტურობის მქონე მასწავლებლები კი მოსწავლის წარუმატებლობას ინტელექტის ნაკლებობას, ოჯახს, ადმინისტრაციას და სხვა გარეგან ფაქტორებს აბრალებენ და ვერ ხედავენ/არ აღიარებენ საკუთარ ხარვეზებს სწავლების პროცესში. წარუმატებელი მოსწავლის მიმართ მეტად კრიტიკულები არიან, გარდა ამისა, მათში ჭარბობს ნეგატიური ემოცია, რაც მოსწავლეების

განწყობასაც ამძიმებს. დაბალი თვითეფექტურობის მქონე მასწავლებლის სტიქია კონტროლია. აქედან გამომდინარე, მას არც მოსწავლეების მიერ მართული სასწავლო პროცესის წარმატებისა სჯერა.

მაღალი კოლექტიური თვითეფექტურობის მქონე პერსონალით დაკომპლექტებული სასწავლო გარემო წარმატებული მოსწავლეების აღზრდის ალბათობას ერთიორად ზრდის. ამასთან, ამცირებს განსხვავებას სოციალურ ჯგუფებს შორის. ზემოაღნიშნული პერსონალის ეფექტურ მუშაობას უმეტესად პოზიტიური განწყობა, ურთიერთთანამშრომლობაზე ორიენტირებული ხედვა და, რაც მთავარია, თვითრეგულირებადი ქცევა განაპირობებს.

თვითრეგულაციით სწავლის ერთ-ერთი მთავარი რგოლი ინტერესის კომუნიკაციაა. თუ მასწავლებელი მაღალ ინტერესს ამჟღავნებს სასწავლო საკითხის მიმართ, მოსწავლის ინტერესიც იზრდება. მოტივაციას ამაღლებს პედაგოგის მზრუნველობაც. მოზარდი სკოლაში თავს უფრო დაცულად იგრძნობს, თუ მის სახელს მასწავლებლები მალევე დაიმახსოვრებენ, მიესალმებიან დერეფანში, ჰკითხავენ გაკვეთილის გაცდენის მიზეზს, გამოხატავენ ადეკვატურ პატივისცემას, საჭიროების შემთხვევაში – უკმაყოფილებასაც და ა.შ. “თუ მასწავლებელი შენზე არ ზრუნავს, ეს შენს აზროვნებაზე ახდენს გავლენას. გგონია, რომ არაფერს წარმოადგენ და ეს სკოლის მიტოვებას განდომებს” (Noblit, Rogers, & McCadden, 1995).

ამრიგად, თუ სასწავლო პროცესები დაწყებითი საფეხურიდანვე თვითრეგულირებადი სწავლის უნარის განვითარებაზეა ორიენტირებული, მოსწავლეებში იზრდება მოტივაცია, შეიმჩნევა ცვლილებებისკენ სწრაფვა, ისინი უფრო თამამები ხდებიან, არ აშინებთ შეცდომები და დაბრკოლებებს გამოწვევებად აღიქვამენ. თვითრეგულირებად გარემოში აღზრდილი მოზარდი გაცილებით დამოუკიდებელ, თავდაჯერებულ და მიზანზე ორიენტირებულ პიროვნებად ყალიბდება.

§4. როგორ შევმატოთ საშინაო დავალებას ინტერესი

მოსწავლეთა პრაქტიკული მეცადინეობა უპირველესად საშინაო დავალების შესრულებაზეა აგებული. იგი აფართოებს სწავლის შესაძლებლობებს და აიძულებს მოსწავლეს, შინაც არ შეწყვიტოს სწავლის პროცესი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გაკვეთილზე, რაც უნდა კარგად ჩატარდეს იგი, ხდება მასალის ხანმოკლე დამახსოვრება. ხანგრძლივ მეხსიერებაში ცოდნის გადატანას განმეორება ანუ გარკვეული სახის სამუშაო სჭირდება, ამ როლს კი მეტწილად საშინაო დავალება ასრულებს. ვინაიდან გაკვეთილზე ათვისებული მასალა უახლოესი 10-12 საათის განმავლობაში ინტენსიურად "გვავიწყდება". ბევრი მასწავლებელი წუხს, რომ მათთვის ძნელია, მეტოქეობა გაუწიოს სწრაფად განვითარებად გასართობ ინდუსტრიას, რომელსაც მოსწავლეები დიდ დროს უთმობენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მიზანი მოსწავლეების გართობა არ არის, მაინც უნდა შევეცადოთ, გაკვეთილი მაქსიმალურად მხიარული, საინტერესო და გასართობი იყოს. თუ დავალება მოსწავლეებისთვის სასიამოვნოა, ისინი მას უფრო სერიოზულად მიიღებენ. რამდენიმე საათის განმავლობაში მასწავლებლის მოსმენა არც ისე საინტერესოა მოსწავლეთა დიდი ნაწილისთვის.

სასკოლო პრაქტიკაში იყენებენ საშინაო დავალების შემდეგ სახეებს: ინდივიდუალურს, ჯგუფურს, შემოქმედებითს, დიფერენცირებულს, საერთოს მთელი კლასისთვის, დავალებას წყვილისთვის.

. ინდივიდუალურ დავალებას ყველაზე ხშირად ცალკეულ მოსწავლეებს აძლევენ. ასეთი დავალება ხშირად საგანგებოდაა მომზადებული.

. ჯგუფური მუშაობა სრულდება კონკრეტული დავალების შემთხვევაში, რომელიც საერთო საკლასო დავალების შემადგენელი ნაწილია. ასეთი დავალებები უმჯობესია წინასწარ მივცეთ.

. დიფერენცირებული საშინაო დავალება შეიძლება გაითვალოს როგორც "ძლიერ", ისე "სუსტ" მოსწავლეზეც.

. “საერთო დავალება მთელი კლასისთვის” ნაკლებად შემოქმედებითი ხასიათისაა, თუმცა მისი შესრულების დროს მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ სხვადასხვა უნარი და ხდება ცოდნის ფორმირება.

. დავალება წყვილისთვის – სახალისო და ნოვატორული მიდგომაა, ეფექტურია მისი შესრულება მერხის მეზობელთან ერთად. ამ დროს დაახლოებით მეორდება გაკვეთილზე არსებული სიტუაცია.

. შემოქმედებითი საშინაო დავალება – უმჯობესია მივცეთ არა წინა დღეს, არამედ რამდენიმე დღით ადრე.

. ყოველდღიური – გაკვეთილზე შეძენილი უნარების ავტომატიზაციისთვისაა.

. პერსპექტიული – გათვლილია მომავალი თემებისთვის.

საშინაო დავალების დადებითი შედეგი მაშინ გახდება თვალსაჩინო, თუ მოსწავლე ახალი გაკვეთილისადმი უფრო მეტი ინტერესითა და ყურადღებით იქნება განწყობილი. ამისთვის რამსდენიმე მომენტი უნდა იქნეს გათვალისწინებული:

* გაკვეთილისა და საშინაო დავალების პროცესის სწორად აგება;

* საშინაო დავალების მიღწევადობა და დოზირება;

* საშინაო დავალების დიფერენციაცია;

* საშინაო დავალების შინაარსში ევრისტიკის ჩართვა;

პრობლემის გადასაჭრელად ჯგუფებში მუშაობა ან სიმულაციურ თამაშებში მონაწილეობის მიღება ბევრად უფრო საინტერესოა ბავშვებისთვის, ეს სწავლის ეფექტიანობას ზრდის. მასწავლებლის მოვალეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია დავალება უფრო საინტერესოდ და სასიამოვნოდ აქციოს მოსწავლეთათვის. ასევე მნიშვნელოვანია კრეატიული აქტივობები.

გთავაზობთ მაგალითს, თუ როგორ შეგიძლიათ დავალების გაუმჯობესება სწავლისთვის საჭირო მოტივაციის ასამაღლებლად.

დავალება: ერთი კვირის განმავლობაში მოსწავლეები წაიკითხავენ მასალას, გააკეთებენ ჩანაწერებს, მოუსმენენ საკლასო დისკუსიებს და უპასუხებენ მოცემული თავის ბოლოს დასმულ კითხვებს .

შეცვლილი დავალება: კვირის განმავლობაში მოსწავლეები წაიკითხავენ მასალას და მოამზადებენ პროექტს, რომელიც შედგება ოთხწუთიანი მოხსენებისაგან, რომლის დროსაც წარმოადგენენ გამოკვლევის შედეგებს. ყველა მოსწავლე ვალდებულია, გააკეთოს ჩანაწერები თანაკლასელების პროექტების შესახებ, რათა უკეთ გაერკვეს მასალაში.

შეცვლილი დავალების ვადები:

ორშაბათი: მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ მასალას კლასში. ისინი პროექტის თემების სიას იღებენ პარასკევს. ყოველი მოსწავლე ირჩევს პროექტის თემას გამოკვლევისთვის. ისინი იმეორებენ მასალას საშინაო დავალების შესრულებით.

სამშაბათი: მოსწავლეები ამოწმებენ საშინაო დავალებას და იწყებენ პროექტსა და მოხსენებებზე მუშაობას.

ოთხშაბათი: მოსწავლეები მუშაობენ პროექტებსა და მოხსენებებზე.

ხუთშაბათი: მოსწავლეები აგრძელებენ მუშაობას პროექტებსა და მოხსენებებზე.

პარასკევი: მოსწავლეები წარმოუდგენენ კლასს საკუთარ მოხსენებებს.

მასწავლებელი სთავაზობს მოხსენების თემებს დამოუკიდებელი გამოკვლევებისათვის;

მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ ერთ-ერთი ფორმა ოთხწუთიანი მოხსენებისთვის: პოსტერი; რუკა; ფოტოკოლაჟი; კომპიუტერული პრეზენტაცია; კომიქსები; ბანერები; დიორამები.

გასათვალისწინებელია – თითოეულმა მოსწავლემ უნდა გაიაზროს მასალის ძირითადი ცნებები; მოსწავლეებს შეუძლიათ თავისუფლად ამოირჩიონ პროექტები; თითოეული მოხსენება ძალიან მოკლეა; მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ ჩანაწერები თანაკლასელების პროექტების შესახებ; პროექტები დიდ დროს არ მოითხოვს; ორივე შეფასების ვადა ერთნაირია; გაუმჯობესებული შეფასება მთლიანად ჩართავს მოსწავლეებს სასწავლო პროცესში.

დავალების შესრულებისას უმნიშვნელოვანესი კომპონენტია კონტროლი და თვითკონტროლი.

მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების თვითშეფასების პირობები:

იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს თავის მიერ შესრულებული დავალების სათანადოდ შეფასება, საჭიროა:

1. გამოყოს ის დავალებები:

ა) რომლებსაც ვერ ასრულებს (და უპასუხოს კითხვას: როგორ ფიქრობთ, რატომ?);

ბ) გამოყოს დავალებები, რომლებსაც ასრულებს დამატებითი ინფორმაციის წყაროების გამოყენების გზით (რომელ ეტაპზე გახდა საჭირო დახმარება? შეძლებს თუ არა მეორედ ამავე ტიპის დავალების დამოუკიდებლად შესრულებას?);

გ) რომელი დავალებები არ არის რთული?

2. "დაუმთავრებელი თეზისი" – შესთავაზეთ მოსწავლეს, დაასრულოს (ზეპირად ან წერილობით) წინადადება: "ჩემთვის ყველაზე რთული იყო…"

3. შესთავაზეთ დავალება ამავე თემაზე;

4. "საშინაო დავალების ანალიზი" – აღწეროს შესრულებული დავალების არსი, სტრუქტურა.

შესრულებული დავალების ხარისხი გაცილებით მაღალი იქნება, თუ მოსწავლეებს აქტიურად ჩავრთავთ დავალების შერჩევის, ორგანიზებისა და შეფასების პროცესში.

საშინაო დავალების შესრულებითა და პრაქტიკული მუშაობით მოსწავლეები კარგად აითვისებენ და განიმტკიცებენ გაკვეთილზე გამოკვეთილ უნარ-ჩვევებს, გაიუმჯობესებენ კომუნიკაციურ კულტურას, უკეთესად ჩასწვდებიან შესასწავლ მასალას, მეტად მოტივირებულები იქნებიან გაკვეთილზე, მასწავლებელს კი სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვა გაუადვილდება.

§5. წარმატებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა

სასკოლო გარემოს შეუძლია გავლენა იქონიოს მოსწავლეების დამოკიდებულებაზე სწავლის მიმართ. სასკოლო გარემო მნიშვნელოვან გზავნილებს შეიცავს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აღიარებულია აკადემიური წარმატებები, რაც მოტივაციის ეფექტური წყაროა.

სასკოლო გარემოს სწორი მოწყობა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის გარემოს, სადაც სწავლა და განვითარება კომფორტულ და აკადემიურად მდიდარ სივრცეში ხდება. გარემოზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ხელმისაწვდომია რესურსები მოსწავლისთვის. მნიშვნელოვანია ისეთი სივრცის არსებობა, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობით და გამოცდილებით სწავლებას.

სკოლის გარემოს მოწყობამ შესაძლოა გარკვეული არასასურველი ქცევები შეზღუდოს. სასკოლო გარემომ შესაძლოა გავლენა იქონიოს სწორი ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, რაც თავისთავად კავშირშია პოზიტიური ქცევების განმტკიცებასთან. გარემო ხელს უნდა უწყობდეს ემოციური სტაბილურობის მიღწევას მოსწავლეებში. სასიამოვნო, თბილი და უსაფრთხო გარემო მოსწავლეებს სხვების მიმართ დადებითად განაწყობს.

სკოლის გარემოს კეთილგანწყობა მოსწავლეების მიმართ მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისთვის, რომ სკოლადამთავრებულებს სკოლის განვითარებაში ჩართვა მოუნდეთ, რაც მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნის მასწავლებლებისთვის კომფორტული და სასიამოვნო სამუშაო პირობების შექმნის თვალსაზრისით. ეს კი ხშირად განაპირობებს მასწავლებლების მზადყოფნას, მეტი დრო გაატარონ სკოლაში და მოსწავლეებს გაკვეთილების შემდეგ მეტი დრო დაუთმონ. ასევე, უკეთეს ფიზიკურ გარემოში მასწავლებლები შესაძლოა მეტი სიამოვნებით რჩებოდნენ სკოლაში პროფესიული განვითარებისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ გარემოს მოწყობაში მოსწავლეებიც ჩავრთოთ. ამით მათში სკოლის მიმართ კუთვნილების გრძნობას გავაჩენთ. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ, რომ გარკვეული ცვლილებები შეიტანონ იმ სივრცეში, რომელშიც

ცხოვრების საკმაოდ დიდ ნაწილს ატარებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრ მათგანს უჭირს, სასკოლო გარემოს ორგანულ ნაწილად იგრძნოს თავი. ამის გარდა, სასკოლო გარემო აუცილებლად უნდა იყოს ადაპტირებული სხვადასხვა საჭიროების მოსწავლეებისთვის.

ცნობილია, რომ მოსწავლეები უკეთესად გრძნობენ თავს, როდესაც სკოლის მიმართ დადებითი ემოციური განწყობები უჩნდებათ. თუ სკოლა მათთვის ძვირფასი ხდება, მოსწავლეები თავს სასკოლო საზოგადოების წევრებად თვლიან, მაშინ მეტია იმის ალბათობა, რომ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით ისინი უფროსებთანაც ითანამშრომლებენ.

სკოლაში მოსწავლე არა მხოლოდ უნარ-ჩვევებს ან ცოდნას იძენს. აქ ხდება მისი ჩამოყალიბება საზოგადოების წევრად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს სკოლაში იმ გამოცდილების შეძენა შეეძლოს, რაც ცხოვრებაში განსხვავებულ ადამიანებთან ან ადამიანთა ჯგუფებთან ურთიერთობაში დაეხმარება. სწორედ ამის გამო, სკოლა განსაკუთრებულად უნდა ზრუნავდეს ისეთი გარემოს შექმნაზე, სადაც მოსწავლის აქტიური სოციალიზაცია ხდება.

სკოლის განვითარებაზე დადებითი ეფექტი სკოლის ცხოვრებაში სკოლადამთავრებულების, მშობლების, სკოლის მეზობლად მცხოვრებთა ჩართვას შეიძლება ჰქონდეს. ამ ადამიანებს შეუძლიათ მრავალი რამ შესძინონ სკოლის ცხოვრებას. გარდა იმისა, რომ მათ სკოლის ფინანსურად დახმარება შეუძლიათ, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მათ საკუთარი გამოცდილების გაზიარებით გაამდიდრონ სკოლა. იმისთვის, რომ ამ ადამიანების ჩართვა მოხდეს, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ მათ მოტივირებაზე იზრუნოს.

დღის უმეტეს ნაწილს მოსწავლეები საკლასო ოთახებში ატარებენ. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ კლასებში ჯანსაღი, კომფორტული და პოზიტიური ქცევების წამახალისებელი გარემო იყოს შექმნილი. ცხადია, გარემოში, პირველ რიგში, იგულისხმება სოციალური გარემო, ურთიერთობები სხვა ბავშვებთან, მასწავლებლებთან, სტუმრებთან. დაწყებით საფეხურზე შედარებით ხშირად ვხვდებით

ხოლმე საკლასო ოთახებში მოსწავლეების ნამუშევრებით გამდიდრებულ თბილ სივრცეებს. საკლასო ოთახების კედლები მნიშვნელოვან ინფორმაციას ატარებს სკოლაში დამკვიდრებული ღირებულებების შესახებ. საკლასო ოთახში, სადაც თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ის, თუ რა მოლოდინები აქვს მასწავლებელს კლასის მიმართ, მოსწავლეები უკეთესად მოქცევას ცდილობენ, მოსწავლეები და მასწავლებლები ერთმანეთის მოსაზრებებს პატივისცემით ეპყრობიან.

ეფექტურია, როდესაც საკლასო ოთახის კედლებს მოსწავლეები საკუთარი მოსაზრებების გამოსახატავად იყენებენ. ეს შეიძლება კედლებზე ქაღალდების გაკვრითაც მოხდეს. საწერად დიდი სივრცეების არსებობა საშუალებას იძლევა, რომ ერთ გაკვეთილზე წარმოშობილი იდეა, წაშლის გარეშე, შემდეგ გაკვეთილზე, ან შემდეგ დღეს განვითარდეს.

მოსწავლეებს კითხვის მიმართ ინტერესი რომ გაუჩნდეს, მნიშვნელოვანია, საკლასო ოთახებში იყოს წიგნები. ეს არ არის რთული. შესაძლოა, მოსწავლეებმა თავად მოიტანონ სახლიდან რამდენიმე წიგნი. სასურველია, სკოლაში ჩატარდეს წიგნების შეგროვების ღონისძიებები, სადაც სკოლის თემი, სკოლადამთავრებულები და სკოლის მეგობრები ამა თუ იმ კლასს საკლასო ბიბლიოთეკებს შექმნაში დაემხმარებიან.

კლასში არსებული წიგნები სწორედ ბავშვების მიერ და ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე იყოს შერჩეული. ხანდახან უფროსები ცდილობენ, ბავშვებს მათი ასაკის შეუსაბამო ლიტერატურა შესთავაზონ. მოსწავლეების ნაწილს წიგნის გარეგნობა ან მოცულობა აშინებს და მათ წაკითხვაზე უარს ამბობს. მასწავლებელმა მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს ეს წიგნები. სასარგებლოა, რომ გაკვეთილების ნაწილი მხოლოდ კითხვას დაეთმოს. ასეთ დროს ბავშვები თავად ირჩევენ კლასის ბიბლიოთეკაში არსებულ რომელიმე წიგნს და გაკვეთილის განმავლობაში კითხულობენ მას. შესაძლებელია წიგნების გატანა სახლში შაბათ- კვირას და არდადეგებზე.

კომპიუტერული დარბაზები სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვა წარმატებით გამოიყენება. მნიშვნელოვანია, სკოლამ იზრუნოს იმაზე, რომ საკუთარი რესურსები მაქსიმალურად მოახმაროს მოსწავლეებს. ამისთვის სასურველია, რომ სკოლამ გაკვეთილების შემდეგ კომპიუტერული ოთახი ღია დატოვოს იმისთვის, რომ მოსწავლეებმა მისი თავისუფალი გამოყენება შეძლონ.

კომპიუტერული დარბაზი, ბიბლიოთეკა და მსგავსი სივრცეები, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც გაკვეთილების დამთავრების შემდეგ სახლში მაშინვე წასვლა არ უნდათ. ზოგი განსაკუთრებულად დაინტერესებულია ტექნოლოგიების შესწავლით. ზოგს კი სახლში იმაზე უარესი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური გარემო ელის, ვიდრე სკოლაში. შესაძლებელია, რომ სკოლამ ეს სივრცეები მოსწავლეებს შესთავაზოს, როგორც გაკვეთილებისშემდგომი სერვისის დაგეგმილი ნაწილი. ეს დაეხმარებოდა მშობლებს, რომლებსაც არ აქვთ საშუალება, გაკვეთილების დამთავრებისთანავე მოაკითხონ საკუთარ შვილებს. მშობლებს ეცოდინებოდათ, რომ მათი შვილი რჩება კომპიუტერულ დარბაზში, რომელსაც მუდმივად ადევნებს თვალყურს ზრდასრული. მოსწავლეები კომპიუტერებს ხშირად იყენებენ ჯგუფურად. ხანდახან ისინი პროექტზე, რაიმე საინტერესო ინფორმაციის მოძიებაზე ან გადაცემაზე ერთად მუშაობენ.

ინტერნეტის არსებობა სკოლაში მნიშვნელოვნად ცვლის გარემოს. მაშინ, როდესაც მობილური ტექნოლოგიები სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება და ამ ტექნოლოგიების მეშვეობით ინტერნეტში შესვლა მარტივია, მოსწავლეები ხშირად იწყებენ მის გამოყენებას სწავლის პროცესში და პროცესის პარალელურად. ეს, ერთი მხრივ, მრავალ პრობლემასთან არის დაკავშირებული, მაგრამ მნიშვნელოვნად პოზიტიური გავლენის მომტანიც შეიძლება იყოს.

მოსწავლეებზე პოზიტიურად მოქმედებს, როდესაც მათ ნამუშევრებს სკოლა პატივისცემით ეპყრობა და როდესაც მათ შემოქმედებას და აკადემიურ მონდომებას საკმარის ყურადღებას აქცევს. სკოლის კორიდორები და შესასვლელი ერთ-ერთი საუკეთესო სივრცეა იმისათვის, რომ სკოლამ მოსწავლეებს საკუთარი

დამოკიდებულება გააცნოს. კორიდორებში მოსწავლეების ფოტოების, მათი მიღწევების შესახებ ინფორმაციის, მათი ნამუშევრების განთავსება საუკეთესოდ მოქმედებს მოსწავლეებზე. თუ სკოლას აქვს შესაძლებლობა, კარგია, როდესაც კორიდორებში განთავსებულია ვიტრინები, სადაც მოსწავლეების მოღვაწეობის ამსახველი სიმბოლური გამოხატულებებია განთავსებული. ეს შეიძლება იყოს სიგელები, პრიზები, ჯილდოების გადაცემის ამსახველი ფოტოები და სხვ.

საქართველოში მოსწავლეების დიდ ნაწილს სახლში საკმარისი წიგნები არ აქვს იმისთვის, რომ საკუთარი ინტელექტუალური ინტერესები დაიკმაყოფილოს. ამ მოსწავლეებს, ცხადია, ნაკლებად აქვთ იმის შესაძლებლობაც, რომ სახლში ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებიც ჰქონდეთ. იმ მოსწავლეებსაც კი, რომლებსაც სახლში წიგნები აქვთ, ნაკლებად შეუძლიათ ყველა ახალი გამოცემის შეძენა. ამიტომ, სკოლის ბიბლიოთეკებს შეუძლია ამ მნიშვნელოვანი დანაკლისის შევსება. სწორად ფუნქციონირების შემთხვევაში, სკოლის ბიბლიოთეკებს არა მხოლოდ მათი მოსწავლეებისთვის, არამედ სასკოლო თემის სხვა წევრებისთვისაც შეუძლია სარგებლის მოტანა. მასწავლებელი შესაძლოა ბავშვების ნაწილს გაკვეთილების შემდეგ აკადემიური პრობლემების დაძლევებში დასახმარებლად ბიბლიოთეკაში ხვდებოდეს. სადაც სივრცე ამის შესაძლებლობას იძლევა, სასარგებლოა ბიბლიოთეკაში სხვადასხვა შეხვედრის ჩატარება. მაგალითად, შესაძლოა ზოგჯერ მოსწავლეებმა ამა თუ იმ საგნის ფარგლებში პრეზენტაცია სწორედ ბიბლიოთეკაში ჩაატარონ, ან სკოლის სტუმარი სწორედ ბიბლიოთეკაში მოიწვიონ მოსწავლეებთან შესახვედრად. ქართულის ბევრი მასწავლებელი განიცდის იმას, რომ მოსწავლეები ცოტას კითხულობენ. სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტას ხელს უწყობს მრავალფეროვანი ლიტერატურის შეთავაზება მოსწავლეებისთვის. გარდა საკლასო ბიბლიოთეკებისა, სასკოლო ბიბლიოთეკები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია იმისთვის, რომ ბავშვებს შევთავაზოთ წიგნები, როგორც საკუთარი სიამოვნებისთვის, ასევე - საკლასო დავალებების შესასრულებლად.

სკოლა კომპლექსური სისტემაა, სადაც ყველაფერი, რაც მისი ნაწილია, დაგეგმილი უნდა იყოს იმგვარად, რომ თავის ძირითად მიზანს - მოსწავლეების განათლებას, სწავლასა და აღზრდას ეფექტურად ემსახურებოდეს. ნებისმიერი სკოლა მრავალ საშუალებას ფლობს იმისთვის, რომ სისტემა წარმატებული იყოს. ამ საშუალებებს შორის სკოლის გარემოს დიდი როლის შესრულება შეუძლია თბილი, სწავლისადმი პოზიტიური განწყობის განმაპირობებელი, უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს შესაქმნელად.

§6. სოციალური ინტერაქცია

ინტერაქტიული მეთოდები განათლების თანამედროვე მიდგომების რეალიზების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია. თეორეტიკოსები ინტერაქტიულ სწავლებას შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზების სპეციალურ ფორმასაც უწოდებენ. ეს ფორმა ისახავს სრულიად კონკრეტულ და პროგნოზირებად მიზანს: სწავლებისათვის შექმნას კომფორტული პირობები, რომელშიც მოსწავლე შეიგრძნობს საკუთარ წარმატებულობას, ირწმუნებს საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, პრაქტიკულ უნარებს, რომელსაც შემდეგ პრობლემების მოგვარებისთვის გამოიყენებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინტერაქტიული სწავლება დიალოგური სწავლების ფორმაა, რომლის მიმდინარეობისას ხორციელდება ინტერაქცია როგორც მოსწავლეებსა და მასწავლებელს, ასევე მოსწავლეებს შორის.

ინტერაქტიული მეთოდებით სწავლების ამოცანას წარმოადგენს:

• მოსწავლისათვის ინტერესის გაღვიძება;

• სასწავლო მასალის ეფექტური ათვისება;

• დასახული სასწავლო ამოცანის გადაწყვეტის გზებისა და ვარიანტების დამოუკიდებლად მოძიება (შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთისშერჩევა ან განსხვავებული გზის შეთავაზება არგუმენტებზე დაყრდნობით) მოსწავლეთა მიერ.

• მოსწავლეთა თანამშრომლობის, გუნდში მუშაობის უნარების განვითარება, განსხვავებული თვალსაზრისის მოსმენის უნარების განვითარება, ერთმანეთის სიტყვის თავისუფლების, ღირსების პატივისცემის განვითარება;

• მოსწავლეთა მიერ თვალსაზრისის ჩამოყალიბებისა და ურთიერთობების უნარების განვითარება;

• ცხოვრებისეული და საგნობრივი უნარების ფორმულირება.

ინტერაქტიული მეთოდების გამოყენების დროს მასწავლებლის როლი მნიშვნელოვნად იცვლება. ის პროცესში არ არის ცენტრალური ფიგურა, არამედ არეგულირებს პროცესს, ახდენს მის ზოგად ორგანიზებას, წინასწარ ამზადებს სათანადო დავალებებს, ამზადებს თემებსა თუ კითხვებს ჯგუფებში სამუშაოდ, უწევს კონსულტირებას, თვალს ადევნებს დროის ლიმიტის დაცვას და დასახული გეგმის შესრულების მიმდინარეობას. ცდილობს „უჩინრად“ შეაშველოს ხელი მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის დამოუკიდებლად მიგნებისა და აგების პროცესს. მოსწავლეებს უწევთ კომუნიკაცია ერთმანეთთან, დასახული ამოცანების ერთობლივი გადაწყვეტა, კონფლიქტების გადალახვა, თანმხვედრი პოზიციების მიგნება, კომპრომისებზე წასვლა და ასე შემდეგ. ანუ აქტიურდება სოციალური უნარების მთელი სპექტრი.

გავრცელებული ინტერაქტიული მეთოდები (მრგვალი მაგიდა, დისკუსია, დებატები, გონებრივი იერიში, როლური თამაშები, სიტუაციური ანალიზი და ასე შემდეგ) არ ამოწურავს ამ მეთოდების ჩამონათვალს, რადგან მასწავლებელს რჩება შესაძლებლობა, დასახული მიზნის შესაბამისად, მიმართოს ამ მეთოდების კომბინაციას, მოახდინოს მოდიფიცირება, ან სულაც შეიმუშაოს სრულიად ორიგინალური ფორმა.

ინტერაქტიული მეთოდით მუშაობისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ:

• ეს არ არის ლექცია, ერთობლივი სამუშაო;

• მოსწავლეები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, მიუხედავად მათი მსგავსება-განსხვავებისა;

• ყოველ მონაწილეს აქვს ნებისმიერ საკითხზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმის უფლება;

• აქ არ არის ადგილი პიროვნული კრიტიკისათვის, კრიტიკას მხოლოდ იდეები ექვემდებარება;

• გაკვეთილზე მოსმენილი მოსაზრებები არ არის გადაწყვეტილება, ის არის ინფორმაცია განსჯისათვის.

როგორ ვემზადებით ინტერაქტიური გაკვეთილისთვის? ვარჩევთ თემას მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა დაწინარე ცოდნის გათვალისწინებით; ვგეგმავთ გაკვეთილის ეტაპებს დროით ჩარჩოზე მორგებით. აუცილებელი პირობების ჩამონათვალი: კონკრეტულად ჩამოყალიბებული გაკვეთილის მიზანი; წინასწარ მომზადებული დასარიგებელი რესურსები (საკითხავი მასალა, ჯგუფური სამუშაოები…) გამართული ტექნიკური საშუალებები; ჩამოყალიბებული საკითხები და მათი თანმიმდევრობა; შერჩეული ცხოვრებისეული მაგალითები;

გაკვეთილის წინ ჩამოყალიბებული უნდა გვქონდეს: პრობლემები, რომელთა გადაჭრაზეც იმუშავებენ მოსწავლეები; მიღებული ცოდნისა და უნარების ცხოვრებაში რეალიზების პერსპექტივა; პრაქტიკული ბლოკი (რაზეც ჯგუფები იმუშავებენ);

მოსწავლეები უნდა აღიარებდნენ ჯგუფში მუშაობის წესებს: აქტიურობა; ჯგუფის წევრთა აზრის პატივისცემა; კეთილგანწყობა; პუნქტუალურობა და პასუხისმგებლობა; არ შეაწყვეტინო საუბარი სხვას; მზაობა თანამშრომლობისთვის; ინტერესის შენარჩუნება; სწრაფვა ჭეშმარიტების მისაგნებად; რეგლამენტის დაცვა; კრეატიულობა.

ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება მასწავლებლისგანაც და მოსწავლეებისგანაც გარკვეულ უნარებსა და გამოცდილებას ითხოვს. ყველაზე მთავარი კი მაინც ის არის, რომ მასწავლებელმა შეძლოს დათმოს დომინანტის როლი. ეს აუცილებელია, რომ საგაკვეთილო სივრცეში მოსწავლეებს თავიანთი როლისა და მნიშვნელოვნების განცდა გაუჩნდეთ. ეს ერთბაშად არ იქცევა მყარ განცდად, ამიტომაც ინტერაქტიული სწავლება უნდა იყოს მიდგომა, რომელსაც

მასწავლებელი შეგნებულად აღიარებს, აქვს პოზიტიური დამოკიდებულება ამ მიდგომისადმი და სისტემატურად იყენებს.

გარკვეულ დროში ეს მიდგომა შედეგს გამოიღებს და დავინახავთ, როგორ აისახება ეს გამოცდილება მოსწავლეების ქცევაზე. მათ განუვითარდებათ საკუთარი აზრის ფორმულირებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარები. ისინი ღია და გულწრფელი დიალოგებისთვის იქნებიან მზად. იგრძნობენ პასუხისმგებლობას კლასში მიმდინარე პროცესებზე, პასუხისმგებლობას ერთმანეთის წარმატებებზე. მათ უვითარდებათ თავდაჯერებულობა, რაც აისახება კიდეც აკადემიურ მოსწრებაზე.

ფაქტია, მოსწავლეები, რომლებიც ასე მუშაობენ სულ სხვა სილაღითა და ბუნებრიობით ერთვებიან ინტერაქციაში, ხოლო მხოლოდ საჩვენებლად გახსენებული ინტერაქცია არაბუნებრივი და შეზღუდულია.

§7. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები

სწავლის მოტივაცია მოსწავლის წარმატების უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. რაღა თქმა უნდა, მოსწავლე სკოლაში მოტივაციის განსაზღვრული ხარისხით მიდის; მნიშვნელოვანია მისი მზაობა ამა თუ იმ კომპეტენციის დასაუფლებლად, შესასწავლი საგნის სტრუქტურა, დასახული ამოცანები და სხვა ამგვარი ფაქტორები, თუმცა უდავოა, რომ მასწავლებლის ქცევა, მისი გადმოცემის უნარი და მოსწავლეებთან არაფორმალური ურთიერთობა, პოზიტიური, შედეგზე ორიენტირებული სასწავლო გარემო გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში.

განათლების ფსიქოლოგები სწავლის მოტივაციის განხილვისას ორ ძირითად ფაქტორს გამოყოფენ – შინაგანსა და გარეგანს. შინაგანი მოტივაცია ამა თუ იმ საკითხის/საგნის შესწავლის სურვილიდან გამომდინარეობს. ის მოსწავლის თანდაყოლილ ინტერესებზე, კომპეტენციის ზრდისა და საკუთარი თავის სრულყოფის მოთხოვნილებაზეა დამოკიდებული. ასეთი მოსწავლის მიზანი ჯილდოსა თუ დადებითი შეფასების მიღება არ არის.

გარე ფაქტორებია, მაგალითად, უარყოფითი შეფასების ან სასჯელისთვის თავის არიდების სურვილი.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მასწავლებლებმა სწორედ შინაგანი მოტივაციის გასაძლიერებლად არ უნდა დაიშურონ ძალისხმევა, თუმცა, სამწუხაროდ, ხშირად პირიქით ხდება – სწორედ გარე ფაქტორების მეშვეობით ცდილობენ აამაღლონ მოსწავლეთა წარმატების მოტივაცია. მნიშვნელოვანია, თითოეულ მოსწავლეს სწავლაზე ორიენტირებული საზოგადოების ნაწილად ვაგრძნობინოთ თავი, შევუქმნათ ღია, პოზიტიური ატმოსფერო საკუთარი მისწრაფებებისა და მონაცემების გამოსავლენად.

ამასთან დაკავშირებით განათლების ფსიქოლოგიის სპეციალისტები გვირჩევენ, მეტი ყურადღება მივაქციოთ მოტივაციის შემდეგ ფაქტორებს:

დადებითი უკუკავშირი. დადებით უკუკავშირად შეიძლება მივიჩნიოთ ქება, წახალისება, განმავითარებელი და არა განმსაზღვრელი შეფასება, რომელიც მოსწავლის მიღწევებს გაუსვამს ხაზს და არა მარცხს. განმავითარებელი შეფასება წარმოაჩენს მათ ყველა მიღწევას, თუნდაც ნაკლებმნიშვნელოვანსა და კომპლექსურს. ყოველგვარი წარუმატებლობა თუ შეცდომა კი უნდა შეფასდეს სწავლის განუყრელ კომპონენტად და განიხილებოდეს არა ნეგატიური, არამედ დადებითი კუთხით, ანუ შეცდომების გამოსწორების საშუალებად.

შესრულებადი ამოცანების დასახვა. სპეციალისტები გვირჩევენ, მოტივაციის ასამაღლებლად მოსწავლეებს დავუსახოთ მარტივი, შესრულებადი ამოცანები; ნაბიჯ-ნაბიჯ ავუმაღლოთ ცოდნა, შევძინოთ ესა თუ ის უნარი. კომპლექსური, ძნელად შესასრულებელი, დაუძლეველი ამოცანები სწავლის მოტივაციას მხოლოდ ვნებს.

რეალისტური, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული თემატიკა. მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ასამაღლებლად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ კიდევ ერთ ფაქტორს: სასწავლო მასალა ზედმიწევნით უნდა ასახავდეს მათ რეალურ ცხოვრებას, შერჩეული უნდა იყოს ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით.

არჩევანის უფლების მინიჭება. მოტივაციის სტიმულირებისას გადამწყვეტ ფაქტორად გვევლინება მოსწავლისთვის ერთგვარი ავტონომიის მინიჭება. მას უნდა ჰქონდეს არჩევანის თავისუფლება. მაგალითად, სასურველია, მოსწავლეს მსგავსი თემატიკის ტექსტებიდან, ამოცანებიდან და სხვ. ერთ-ერთის არჩევის უფლება უფლება ჰქონდეს. ამით მას სწავლის პროცესში თანამონაწილეობისა და ჩართულობის შეგრძნებასაც გავუღვივებთ.

კუთვნილების შეგრძნების გაღვივება. ვინაიდან კუთვნილების შეგრძნება ადამიანის ფუნდამენტური მოთხოვნილებაა, ამ შეგრძნების გაღვივება მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ასამაღლებლად. კვლევების თანახმად, მოსწავლეები, რომლებსაც სკოლისადმი, კლასისადმი, საზოგადოდ, აკადემიური გარემოსადმი კუთვნილების შეგრძნება აქვთ, გაცილებით უკეთ ართმევენ თავს სასწავლო პროცესს. მასწავლებლები, რომლებიც უქმნიან მოსწავლეებს ღია, თავისუფალ, მყუდრო, ენთუზიაზმსა და პოზიტიურ დამოკიდებულებაზე აგებულ სასწავლო გარემოს, ამით კუთვნილების შეგრძნებასაც უღვივებენ მათ.

მხარდაჭერაზე დაფუძნებული ურთიერთობა. მზრუნველობასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული ურთიერთობა, რომელსაც მასწავლებელი უყრის საფუძველს, კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სწავლის მოტივაციის ასამაღლებლად. მასწავლებელს უნდა შეეძლოს აღსაზრდელებთან კომუნიკაცია, თანაგრძნობისა და სიმპათიის გამოხატვა.

"ურჩი" მოსწავლეებისთვის სასწავლო სტრატეგიების შემუშავება. დაბალი აკადემიური მოსწრებისა და სასწავლო გარემოსთვის შეუსაბამო ქცევის მქონე მოსწავლეთა ძირითად პრობლემას სწავლის დაბალი მოტივაცია წარმოადგენს. ასეთი მოსწავლეებისთვის მოტივაციის ასამაღლებლად საკმარისი არ არის სასწავლო პროცესის მსვლელობისას გამოჩენილი დამატებითი ძალისხმევა. წარმატების მიღწევა შესაძლებელია მართებული სასწავლო სტრატეგიების დასახვით, მაგალითად, ამა თუ იმ აქტივობის გეგმის შემუშავებით, ჩანაწერების გაკეთებით, შავი ნამუშევრის გადათეთრებით და სხვ. ამა თუ იმ აქტივობისთვის შესაფერისი სასწავლო

სტრატეგიის შეთავაზებით მასწავლებელმა შესაძლოა საგრძნობი შედეგი მიიღოს მოსწავლის მოტივაციისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების კუთხით.

თამაში ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების კარგი საშუალებაა, ბავშვები ივითარებენ ვერბალური და არავერბალური, მარტივი და კომპლექსური კომუნიკაციის უნარებს; თამაშში ბავშვები ხალისით ერთვებიან და ინტერესით ასრულებენ საკუთარ ფუქნციას; სწავლობენ როლის გათავისებას; არიან უფრო კონცენტრირებულები და ყურადღებიანები, რაც საშუალებას აძლევს მათ, უკეთესად აითვისონ და გაიაზრონ ახალი ინფორმაცია;

თამაში ეხმარება ბავშვებს, განცდებისა და ემოციების საშუალებით, უფრო მარტივად, დამოუკიდებლად ააშენონ ახალი ცოდნა და გამოცდილება უკვე არსებულზე დაყრდნობით; თამაშის დროს ბავშვების წარმოსახვა ძლიერია, ისინი თავად ქმნიან, იგონებენ და ცვლიან პერსონაჟებს, მოვლენებს, დროს, ადგილებს და ა.შ.; თამაში ხელს უწყობს ბავშვებს, განივითარონ შემოქმედებითი აზროვნება; თამაში ეფექტური საშუალებაა თანამშრომლობის, კონფლიქტების გადაჭრისა და პრობლემების მოგვარების უნარების ფორმირებისთვის;

აღსანიშნავია, რომ ფიზიკური თამაშები, მოტორული უნარების განვითარებასთან ერთად, ხელს უწყობს ბავშვებს, გაუმკლავდნენ სტრესს, გაღიზიანებას და ადვილად დაძლიონ შინაგანი კონფლიქტები; თამაშის საშუალებით ბავშვებში ვითარდება ის მნიშვნელოვანი კომპეტენციები, რომლებიც ცხოვრებაში მრავალი სხვადასხვა საქმიანობისთვის არის აუცილებელი.

თამაში დიდ როლს ასრულებს ბავშვის განვითარებაში და მნიშვნელოვანია, რომ მისი ინიცირება ხდებოდეს არა მხოლოდ სახლსა და ეზოში, არამედ სკოლასა და საგაკვეთილო პროცესში. ყველა მასწავლებლისთვის ცნობილია, რომ სწავლაში წარმატება დიდად არის დამოკიდებული მოსწავლის დაინტერესებაზე, სურვილსა და მასში ცნობისმოყვარეობის გამოწვევაზე. მაგალითად, საშუალო და უფროსი ასაკის მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ ინტელექტუალური და როლური თამაშები,

უმცროსი ასაკის ბავშვებს _ ნატიფი მოტორიკის განსავითარებელი სახალისო აქტივობები და ა.შ.

ფსიქოლოგები თამაშებს, დამახასითებელი თავისებურებების მიხედვით, სხვადასხვა ტიპად ყოფენ, მაგ.: სიმბოლური, ფიზიკური, საგნებით, წესებით, წარმოსახვითი, სოციალური და ა.შ. ბავშვები შეიძლება ჩართულები იყვნენ ერთდროულად ერთზე მეტ თამაშში. ამ დროს მნიშვნელოვანია, თამაში/თამაშები ისე იყოს დაგეგმილი, რომ ხელს უწყობდეს გამოცდილების გაფართოებას როგორც ცოდნისა და უნარების, ასევე დამოკიდებულებების დონეზე; ფოკუსირებული იყოს ბავშვის ფიზიკურ, ინტელექტუალურ და სოციო-ემოციურ ზრდა-განვითარებაზე.

როგორც ვხედავთ, თამაშს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანის ცხოვრებაში. თამაშის დახმარებით ბავშვი ვითარდება ფიზიკურად, გონებრივად, სოციალურად და ა.შ. (იხ. სქემა 1). ეს არის საშუალება, რითაც ბავშვები დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად შეისწავლიან საკუთარ გარემოს, ადამიანებს და სამყაროს, სწავლობენ პრობლემების გადაწყვეტასა და ურთიერთობებს, უვითარდებათ კრეატიული აზროვნება და ლიდერობის უნარი. ასევე აღსანიშნავია, რომ ეფექტურად წარმართული თამაშები ჯანსაღი პიროვნების ჩამოყალიბებას განაპირობებს.

სქემა 1.

საგაკვეთილო პროცესსში, რაც უფრო მეტ სახალისო თამაშს შევიტანთ, მით უფრო საინტერესო გახდება გაკვეთილი ბავშვებისათვის. პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე შემიძლია დავასკვნა, რომ თამაშის მეთოდის გამოყენება გაკვეთილის მსვლელობისას უფრო ნაყოფიერს და სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს. მაგალითად: როლური თამაში, მარცვლობანა, ვინ იქნება პირველი, სიტყვების სკივრი და ა.შ.

სწავლისადმი მიზანსწრაფული დამოკიდებულების ჩამოყალიბების ფაქტორებია:

1) რეალური მიზნების დასახვა.

2) წარმატების მიღწევის სწავლება.

3) ხელშეწყობა მოტივაციის ამაღლებაში.

4) მწვავე კონკურენციის აღმოფხვრა მოსწავლეებს შორის.

5)სასწავლო პროცესის აგება მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

6)დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთების უფლების მინიჭება მოსწავლეებისათვის (არჩევანის უფლება).

7) მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება.

8) სასწავლო პროცესის ობიექტური შეფასება.

9) პოზიტიური, დადებითი შექება.

10) დადებითი დამოკიდებულების შენარჩუნება.

მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ გაიაზრონ რამდენად ეფექტურად იყენებენ თავიანთ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს პრაქტიკაში და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მოსწავლის შედეგები გაუმჯობესდეს.

ჩემს სადამრიგებლო კლასში ჩავატარე **კვლევა დაწყებითი კლასების მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის დაკარგვის მიზეზის გამოსავლენად და მისი გამოსწორების გზების განსაზღვრისათვის.**

იმის დასადგენად, თუ როგორ ხდება მოტივაციის ამაღლება სკოლებში, გამოვიკითხეთ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები. მონაცემების შესაგროვებლად გამოვიყენეთ ინტერვიუ, ანკეტირების მეთოდი და გამოკითხვა.

სამიზნე ჯგუფი: დაწყებითი კლასების 50 მოსწავლე

კვლევის მეთოდები: ანონიმური გამოკითხვა წერილობით, ინტერნეტით.

კვლევის ჩატარების დრო: 2019 წლის აპრილი.

გამოკითხვის შეკითხვები:

1.სასწავლო გარემო თბილი და მზუნველია?

კვლევის შედეგები იხილეთ დიაგრამა 1



ა) არასოდეს 15% ბ) იშვიათად 34% გ) ყოველთვის 51%

2. სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები მრავალფეროვანია.

შედეგები იხილეთ დიაგრამა 2



ა) არასოდეს 15% ბ) იშვიათად 34% გ) ყოველთვის 51%

მოსწავლეებთან ხშირი შეხვედრებისა და მშობლების გამოკითხვის შედეგად და მათთან საუბრისას დავადგინე, რომ ბევრი მშობელი ცდილობს ბავშვებში სხვადასხვა

გზით მოტივაციის ამაღლებას. ასეთი შემთხვევის დროს, მოტივაცია ყალიბდება სქემით - „სტიმული - რეაქცია“, სადაც სტიმული არის ერთგვარი „თაფლი“, რომელსაც ღებულობს ადამიანი ვინმესგან საჭირო მოქმედების შედეგად, ან პირიქით, ეს არის „მათრახი“, როდესაც ცდილობს ისწავლოს დასჯის შიშის გამო.

ეს არის გარეგანი მოტივაცია, როცა მოსწავლე სწავლობს ან ასრულებს შესაბამის სამუშაოს გარეგანი ზემოქმედების ან მოთხოვნის შესაბამისად, ჯილდოს მიღების, ან დასჯის შიშის გამო. არსებობს უამრავი მიზეზი იმისა, რომ არ ჰქონდეს მოსწავლეს სწავლისადმი ინტერესი. ერთი შეხედვით რთული დავალება. რატომ გახდა ცნობისმოყვარე ბავშვი დრამატული მოსწავლე? რა ხელის შემშლელი ფაქტორები არსებობს? რატომ უნდა გავხადოთ მოსწავლე მოტივირებული? რატომ უნდა განხორციელდეს სხვადასხვა სახის ღონისძიებები? რატომ უნდა მოხდეს მასწავლებლის როლის გათვალისწინებით მოსწავლეთა მოტივირება? და ა. შ.

სწავლის მოტივაციის ასამაღლებლად გვთავაზობთ შემდეგ რეკომენდაციებს:

1. გაამდიდრეთ სასწავლო პროცესი – ამის მიღწევა შესაძლებელია დამატებითი, კლასგარეშე აქტივობებით, მრავაფეროვანი სასწავლო მასალებით და სწავლების ახალი მეთოდებისა და სტრატეგების გამოყენებით. ამით სასწავლო პროცესი მოსწავლისთვის უფრო სახალისო და საინტერესო გახდება.

2. ეცადეთ, გააააქტიუროთ მოსწავლეები – მოსწავლეებისთვის გაცილებით უფრო ბუნებრივია საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ჩართვა და მონაწილეობა, ვიდრე მშვიდად ჯდომა და მოსმენა. ამისათვის შეგიძლიათ, ჩაატაროთ დისკუსიები, გამოიყენოთ ჯგუფური მუშაობის მეთოდი, პრეზენტაციები, როლური თამაშები, საგანმანათლებლო ექსკურსიები და სხვა. თუმცა ჩამოთვლილ სტრატეგიებს უნდა შეურჩიოთ დრო, თორემ არ ექნება ის ეფექტი, რასაც ელით.

3. ჩართეთ მოსწავლეები ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში – ეს აქტივობა გულისხმობს მოსწავლეთა ჩართვას სემესტრული ტესტების, კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სავარჯიშოების, კროსვორდების, სიტუაციური ამოცანების

მომზადების პროცესში. ეს არა მხოლოდ გაზრდის მათ მოტივაციას, არამედ მასალის თვისებაში შეუწყობს ხელს.

4. გამოიყენებთ განსხვავებული სირთულის დავალებები – კარგი იქნება, თუ ერთსა და იმავე თემაზე მოსწავლეებს სხვადასხვა სირთულის დავალებებსა თუ აქტივობებს შესთავაზებთ. ეს შესაძლებლობას მოგცემთ, გაითვალისწინოთ მოსწავლეთა შესაძლებლობები და ამით აამაღლოთ მათი მოტივაცია.

5. გამოიყენეთ უნიშნო აქტივობები – ამგვარი დავალებების დროს მოსწავლის ყურადღება შედეგიდან პირდაპირ პროცესზე გადაერთვება.

6. შეცდომები სწავლის საუკეთესო საშუალებაა – კლასში უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, რომელშიც მოსწავლეებს ნეგატიური შეფასების, კრიტიკის და შეცდომის დაშვების შიში არ ექნებათ. შეცდომები უნდა ვაქციოთ მოსწავლისთვის უკეთესი შედეგებისკენ სწრაფვის დასაწყისად.

7. მიაწოდეთ მოსწავლეებს დადებითი უკუკავშირი – ამისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ე.წ. "1+2" შეფასება. "1+2" ისეთი შეფასებაა, სადაც "1" შენიშვნაა, რჩევა, რომელიც მოსწავლემ უნდა გაითვალისწინოს, ხოლო "2" – პოზიტიური კომენტარი. ეს შეფასება შეგიძლიათ, შეცვალოთ თქვენი სურვილისამებს, თუმცა სასურველია, დაიცვათ პროპორცია პოზიტიურ და ნეგატიურ შენიშვნებთან მიმართებაში.

8. თავი აარიდეთ მხოლოდ ნიშნის დაწერას – ნაშრომის შესწორებას და ნიშნის დაწერას პარალელურად დაურთეთ კომენტარი– კონკრეტულად რის გამო დააკლდა მას ნიშანი, რა მოგეწონათ და რაზე უნდა გაამახვილოს მოსწავლემ ყურადღება. თქვენი კომენტარი, რომელიც ერთვის ნიშანს, უნდა იყოს ვრცელი და ამომწურავი.

9. არასოდეს გააკრიტიკოთ მოსწავლე საჯაროდ – საჯარო კრიტიკა ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსწავლის თვითშეფასებასა და მოტივაციაზე. ასევე ამგვარი მიდგომა აქვეითებს მოსწავლის ნდობასა და პატივისცემას თქვენ მიმართ.

10. იყავით მიუკერძოებელი – მასწავლებელი ჩვეულებრივი ადამიანია თავისი სიმპატიებით, შეხედულებებითა და მოწონებებით. მაგრამ ეცადეთ, რომ

მაქსიმალურად გამორიცხოთ სუბიექტივიზმის გამოვლენის შემთხვევები სწავლის პროცესში და მოსწავლეებთან პირად ურთიერთობებში.

11. ტესტირებისას გამოიყენეთ სხვადასხვა ტიპის შეკითხვები – ტესტი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ დაცული იყოს ბალანსი ღია დაბოლოებიან და დახურულ შეკითხვებს შორის. ამგვარად შედგენილი ტესტი არ მიანიჭებს უპირატესობას რომელიმე კონკრეტულ მოსწავლეს და კლასის შეფასების უფრო ადეკვატური ინსტრუმენტი იქნება.

12. სათანადო ყურადღება დაუთმეთ მოსწავლეთა თითოეულ ნაშრომს – საჭიროა, მოსწავლეთა ნაშრომებს, მის განხილვასა და შეფასებას, სათანადო ყურადღება დაუთმოთ. ზერელე დამოკიდებულების შემთხვევაში მოსწავლე დემოტივირებული ხდება.

13. ჩართეთ მოსწავლე საკლასო გადაწყვეტილებების მიღებაში – მოსწავლეთა მონაწილეობა საკლასო ნორმების, შეფასების კომპონენტების შემუშავებაში, შესასწავლ საკითხთა თანმიმდევრობის დადგენაში და სხვ. მნიშვნელოვნად აამაღლებს მათ მოტივაციას და ხელს შეუწყობს მათი მხრიდან ამ შეთანხმების შესრულებას.

14. შემოიღეთ "პრობლემებისა და წინადადებების ყუთი" – ეს მეთოდი მისცემს მოსწავლეებს საკუთარი აზრის, მოსაზრების, შეფასების ანონიმურად წარმოდგენის საშუალებას. თუმცა ამ მეთოდის გამოყენებისას უნდა გაითვალისწინოთ: დეტალურად უნდა აუხსნათ მოსწავლეებს ყუთის არსი და მისი გამოყენების მიზანი; მოსწავლეთა წინადადებების წარმოდგენის გარკვეული ფორმატი უნდა შეიმუშაოთ. კონკრეტული ტიპის ინფორმაციის მითითება სავალდებულო უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მეთოდი არ იქნება ეფექტური. მასწავლებელმა სისტემატურად უნდა განიხილოს შემოსული წინადადებები.

16. ყველა მოსწავლეს შეუძლია, ისწავლოს და იყოს წარმატებული – საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებთან ურთიერთობისას უნდა იკვეთებოდეს მასწავლებლის ამგვარი დამოკიდებულება.

სწავლა სიხარულს უნდა წარმოადგენდეს. როდესაც მოსწავლეები თავს კომფორტულად გრძნობენ, ისინი უფრო მოტივირებული არიან, ახალი რამ შეიტყონ და ყველაფერი გააკეთონ. მასწავლებლის როლის გათვალისწინებით ავუმაღლოთ მოსწავლეებს მოტივაცია სწავლებისადმი. ასევე ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მასწავლებლის პიროვნული თვისებები თამაშობს დიდ როლს. ჰუმანურ, შრომისმოყვარე და სამართლიან მასწავლებელს შეუძლია უდიდესი წვლილის შეტანა მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. ვთვლი, რომ ჩემს პრაქტიკაში ამ მიმართულებით გარკვეული საჭიროებები გამოიკვეთა. ყველა ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ჩემი აზრით საკითხი მეტად აქტუალურია.

უპირველეს ყოვლისა სკოლისა და მასწავლებლის საზრუნავია, მოსწავლისათვის მყარი და საფუძვლიანი ცოდნის დაუფლება, იმისათვის რომ სასწავლო პროცესი ხალისიანი და ამავდროულად ნაყოფიერი იყოს აუცილებელია სკოლისა და მასწავლებლის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მამოტივირებელი გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლე შეძლებს მიღებული ცოდნის სრულყოფასა და რეალიზებას.

დასკვნები და რეკომენდაციები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მეთოდიკის ძირითადი ორიენტირები: საგნების ინტეგრირებული სწავლება, აქცენტი მრავალმხრივ პერსპექტივაზე, საგანთა შორის მჭიდრო კავშირის განხორციელება, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება განაპირობებს აუცილებლობას მამოტივირებელი გარემოს შექმნისა, სადაც მოსწავლე შეძლებს მიღებული ცოდნის სრულყოფასა და რეალიზებას.

არსებული ვითარების შესწავლა ცხადყოფს, რომ სწავლისადმი მიზანსწრაფული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა ყველა სასწავლო საგნის მნიშვნელოვანი პრეროგატივაა. ამ მიმართულებით მიმდინარეობს საინტერესო მუშაობა და რიგ

მასწავლებლებს წარმატებული გამოცდილება აქვთ. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მისაღწევი შედეგების განსაზღვრა არ ხდება.

მოტივაციის ასამაღლებელი სტრატეგიების განსაზღვრა ხელს უწყობს ერთ საგანში მიღებული ცოდნის, უნარების, შესაძლებლობების გამოყენებას სხვა საგანში ახალი ცოდნის მიღებისა და განვითარებისათვის. ეხმარება მოსწავლეს გააცნობიეროს, რა შედეგი აქვს მისაღწევი, როგორ ისწავლოს, როგორ მოიხმაროს დაუფლებული ცოდნა და უნარი მომავალში.

სწავლისადმი მიზანსწრაფვის კომპეტენციების მიღწევისათვის სწავლების ორგანიზაციის ფორმებია: გაკვეთილი, გაკვეთილგარეშე მუშაობა.

გაკვეთილზე სწავლისადმი მიზანსწრაფვის კომპეტენციების განვითარება შესაძლებელია: გაკვეთილის ერთ-ერთი მიზანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებით; მიღწეული დონის შეფასება; საშინაო დავალების შესრულება.

სწავლისადმი მიზანსწრაფვის კომპეტენციების განვითარების გაკვეთილგარეშე მუშაობის ფორმებია: საგნობრივი წრეები, კლასის საათი, ექსკურსია, გასვლითი საგანმანათლებლო სემინარი.

სასწავლო საგანთა ჯგუფში შემავალ და სხვა ჯგუფის საგნებში სწავლისადმი მიზანსწრაფული დამოკიდებულების მიღწევის ეფექტური საშუალებაა საგნობრივი კათედრა. მისი მეშვეობით ხორციელდება მასწავლებელთა თანამშრომლობა, სწავლება/სწავლის დაგეგმვის, ახალი მიდგომების გამოყენების, კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებანი.

გამოცდილებით შექმნილი სწავლისადმი მიზანსწრაფული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული აქტივობების მოდელები საშუალებას იძლევა წარმოჩინდეს ინოვაციური პედაგოგიური გამოცდილება, ხელი შეეწყოს უკეთესი ვარიანტების შექმნას.

მიზანმიმართული სტრატეგიების გამოყენება ეხმარება მოსწავლეს კომპეტენციის დაუფლებასა და სწავლის შედეგის მიღწევაში; ხელს უწყობს სასწავლო პროცესში აქტიურობასა და შინ და სხვა სიტუაციაში დამოუკიდებელი მუშაობის წარმართვას.

სასწავლო მიზნის და ამოცანის შესაბამისი შეფასებისა და თვითშეფასების ფორმების, მეთოდების, ცხრილებისა და სქემების გამოყენება განაპირობებს სწავლება / სწავლის პროცესში მოსწავლის დახმარების უკეთესი შედეგის მიღწევას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. განვითარებისა და სწავლების თეორიები- დამხმარე სახელმძღვანელო I, მასწავლებელთა პროფესიური განვითარების ცენტრი, 2008.
2. სწავლება და შეფასება - დამხმარე სახელმძღვანელო II, მასწავლებელთა პროფესიური განვითარების ცენტრი, 2008.
3. სასწავლო და პროფესიული გარემო - დამხმარე სახელმძღვანელო III, მასწავლებელთა პროფესიური განვითარების ცენტრი, 2008.
4. ეფექტიანი სწავლება თეორია და პრაქტიკა, გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპერტამენტი, 2010.
5. გამოცდილი მასწავლებელი - ილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2010.
6. ინოვაციური მეთოდები შემოქმედებითი სწავლებისათვის - „ინოვაციური განათლების ადგილობრივი ლიდერები“, თბილისი, 2014.
7. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება - მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი, თბილისი 2007.

8. მასწავლებლის წიგნი - ინტერაქტიური მეთოდები პრაქტიკაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2016.
9. მასწავლებლის წიგნი - შეფასება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2016.
10. სწავლის სწავლის ცნება და განწყობის თეორია, შორენა საძაგლიშვილი, მაია გედევანიშვილი, თეა ბერძენიშვილი, თბილისი, 2006.
11. http://tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/562978.pdf - სკოლა და საზოგადოება, ბავშვი და კურიკულუმი.
12. http://tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/220545.pdf - ჯონ დიუი როგორ ვაზროვნებთ.
13. https://educ.wikireading.ru/6946 -Как учиться и не уставать.
14. Таф Пол, Как дети добиваются успеха, «Издательство «Эксмо», 2013
15. http://mastsavlebeli.ge/?p=12232 - ინტერნეტგაზეთი , განათლება თავისუფლებაა. 4 აგვისტო 2019.